# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 9 იანვარი 2007 №1 (2924) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბერძნებმა არა ინებეს

### ლევან ცქიტიშვილის პანიონიოსი დამთავრდა



უცნაურია, მაგრამ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერმა ლევან ცქიტიშვილმა ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი ბერძნული „პანიონიოსის“ ძირითადში.
ბუნდესლიგამოვლილ ფეხბურთელს საბერძნეთის საშუალო დონის გუნდში იწუნებდნენ, ცოტა გაუგებარია...
გუშინ ჩვენმა ბერძენმა კოლეგამ, იქაური „სპორტაიმის“ ჟურნალისტმა ლარი სუსკასმა გვაცნობა, „პანიონიოსი“ ცქიტიშვილს უშვებსო.
მხარეებს კონტრაქტი ოფიციალურად ჯერ არ გაუწყვეტიათ, თუმცა სუსკასის თქმით, ეს ყველაფერი დღეების ამბავია.

## ქართული ბურთი გაგორდა

### დაბალი გრადუსი მაღალი გრადუსის მერე



## ფოლკლორგული სიტუაცია

### შოტლანდია: გულო, ჩადექ საგულესა!
### უოლტერ სმიტი: ფულო, ჩადექ საფულესა!



ევროშესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე შოტლანდია მძიმე დღეში ჩავარდა — ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა.

59 წლის მწვრთნელმა, ვინც შოტლანდიის ნაკრების მხსნელადაც კი შერაცხეს, გუნდზე ორწლიანი მუშაობის შემდეგ აიყარა გული. არადა, თავად განსაჯეთ, ოთხი ტურის შემდეგ შოტლანდია საფრანგეთთან ერთად 9 ქულით ლიდერობს ჩვენს შესარჩევ ჯგუფს და ალბათ იოლი წარმოსადგენია, რამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია „მამაც გულებში“ სმიტის განცხადებამ.

მოკლედ, საქმე ასეა: უოლტერ სმიტს საკმაოდ მიმზიდველი წინადადებით მიმართა კრიზისში მყოფმა „გლაზგო რეინჯერსმა“ და...

„სმიტის განცხადებას ჯერჯერობით ვერ დავაკმაყოფილებთ“ — ნათქვამია შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც გუშინ გავრცელდა.

ეს კი ასეა, მაგრამ ყველამ ვიცით, როგორც მთავრდება ხოლმე ასეთი ამბები... ჰოდა, ძალიან საინტერესოა, ვის შოტლანდიას შეხვდება 24 მარტს კლაუს ტოპმიოლერის საქართველო?

## ბლატერი იტალიასთან წაისკუზა



ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ნაკრებს ბოდიში მოუხადა იმისთვის, რომ ფინალის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიაზე არ გამოცხადდა.

შეგახსენებთ: რაკი ფინალში ევროპული გუნდები გავიდნენ, ბლატერმა ადგილი უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს დაუთმო, თავად კი „გაქრა“. ამის გამო „სკუადრა აძურამ“ ბლატერს ანტიიტალიურობაში დასდო ბრალი.

გუშინ იტალიის ნაკრების 23 ფეხბურთელი რომში „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვეს და ფიფას პრეზიდენტმაც ცოდვები იქ მოინანია.

„ისტორია იტყვის, რომ ეს იყო ფიფას პრეზიდენტის შეცდომა — განაცხადა ბლატერმა გუშინდელ ცერემონიაზე — მე იტალიის ნაკრების წარმომადგენლებს ფინალის შემდეგაც კი მოვუბოდიშე“.




## ფაჩულიასთვის 22 ორჯერ ორია

# რას ერჩიან მოსკოვი და ერევანი პატარა ბოლნისს?





## სიონი თანამეგობრობის თასზე აფციაურს და დარასელიას ალბათ ვერ წაიყვანს



სიონი — ოლიმპი 2:0

**საქართველოს** ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ მოსკოვში გასამართ „თანამეგობრობის თასზე“ სათამაშოდ ემზადება, დღეიდან თბილისში, სასტუმრო „ლიზიში“ შეკრებაზე გადავა და ორჯერად ვარჯიშებს შეუდგება.

გუშინ კი „სიონი“ ეროვნული ჩემპიონატის ლიდერ რუსთავის „ოლიმპს“ გაეჯიბრა და 2:0 მოუგო, გოლები გასტონ ევოჩემ და გიორგი კვიტაიშვილმა გაიტანეს. „სიონის“ სასტარტო შემადგენლობაში ასეთი იყო: *მამალაძე; სეთურიძე, ლ. ჭელიძე, ჭიჭველიშვილი, კობაური; ალავიძე, კახელიშვილი, სილაგაძე, ქებაძე; ჩასემი, ევოჩე.*

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს იქნება „სიონის“ ოპტიმალური შემადგენლობა მოსკოვური ტურნირისთვის, რომელიც 20 იანვარს დაიწყება. „სიონი“ სამოსკოვოდ „ოლიმპიდან“ გიორგი სეთურიძის, გიორგი კახელიშვილის და ლაშა ქებაძის გარდა თორნიკე აფციაურის თხოვებასაც აპირებდა, მაგრამ აფციაური ახლა ტრავმირებულია და მისი მოსკოვში გამგზავრება ძალიან სათუოა. „სიონს“ მოსკოვში ყარაგანდის „შახტიორის“ პლეიმეიკერ ვიტალი დარასელის წაყვანაც უნდოდა, მაგრამ დარასელია წელის ტკივილმა ისე შეაწუხა, ერთი კვირა არ უვარჯიშია და მოსკოვში მისი წასვლაც ძალიან საეჭვოა. „სიონს“ „ოლიმპიდან“ მოსკოვური ტურნირისთვის გიორგი ონიანის იჯარით წაყვანაც სურდა, მაგრამ რადგან დაცვის ბურჯი დავით ჭიჭველიშვილი „სიონში“ დარჩა, ონიანს ბოლნისელები აღბათ აღარ აიყვანენ.

„სიონი“, სავარაუდოდ, 18 იანვარს გაემგზავრება რუსეთის დედაქალაქში ერევნის გავლით, თუმც სომხებმა ფორმალური პრობლემები შეუქმნეს საქართველოს ჩემპიონს — კამერუნელებზე — ევოჩე, ჩასემი და ფრიდოლინი — მოსკოვიდან მოწვევა უნდა გამოაგზავნინოთო. „სიონში“ იმედი აქვთ, რომ ასეთ ბიუროკრატიულ წინააღმდეგობას გადალახავენ.

„თანამეგობრობის თასის“ ორგანიზატორებმა ოდენ „სიონის“ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებზე გამოგზავნეს რუსეთის ვიზები და ჯერაც გაურკვეველია, მწვრთნელ-ფეხბურთელების გარდა კიდევ ვინ წავა „სიონიდან“ მოსკოვში. ტურნირის ორგანიზატორებმა უარი თქვეს ვიზების მიცემაში დახმარებოდნენ ტურნირის გაშუქების მსურნე ქართველ ჟურნალისტებს — ჩვენ მხოლოდ აკრედიტაციების გაცემა გვევალებაო.

„სიონს“ მოსკოვში მიხეილ ძოძუაშვილი დახვდება, ვინც ბოლნისელთა წარმომადგენლი იქნება სატრანსფერო საკითხებში — თუ „სიონის“ რომელიმე ფეხბურთელით დაინტერესდებიან, მოლაპარაკება ძოძუაშვილთან გაიმართება.

„სიონში“ გვითხრეს, რომ მოსკოვის „დინამოს“ უკვე უცნობებია თავისი ინტერესის თაობაზე ბოლნისელთა კამერუნელ ფორვარდ ჩასემისადმი — ამ აფრიკელს მოსკოვური „დინამო“ ტურნირზეც დააკვირდება.

**დავით თავართქილაძე**

# ოლიმპს მცველი და მელქაძე უნდა



ლევან მელქაძე

**პირველი** წრის ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ ხმაურიანი ტრანსფერი შარშან განახორციელა — მთავარ მწვრთნელად გიორგი კიკნაძის ნაცვლად გამოცდილ რევაზ ძოძუაშვილს უხმო და მერე ახალი ფეხბურთელების გადაბირებასაც შეუდგა.

„ოლიმპმა“ უკვე გააფორმა კონტრაქტი მეკარე მირზა მერლანთან, მალე ნახევარმცველ ზურაბ არზიანს და შემტევ რევაზ გოცირიძესაც გაუფორმებს ხელშეკრულებას.

რუსთაველები კვლავაც მუშაობენ გასაძლიერებლად და ყველაზე უფრო მცველის დამატებაზე ზრუნავენ...

ჯერ კიდევ ძოძუაშვილის მისვლამდე „ოლიმპს“ თავდამსხმელ ლევან მელქაძის აყვანაც სურდა, 2004-05 წლების საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის და ბომბარდირის. მელქაძე ახლა თავისუფალი აგენტია და უცხოეთში უნდა თამაში.

„ოლიმპი“ ამ ეტაპზე უცხოურ შეკრებაზე წასვლას არ გეგმავს. სამუასეზონო პერიოდში გუნდმა ჯერ ორი ამხანაგური მატჩი ითამაშა — „გაგრას“ 5:0 მოუგო და „სიონთან“ 0:2 დამარცხდა.

**დავით თავართქილაძე**

# ცვლა ბორჯომიდან

## ფეიქრიშვილი უკრაინას მოსინჯავს

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ სეზონის მეორე ეტაპისთვის ჯანზე მოსვლას ფიზმომზადებით შეუდგა და 10 იანვრიდან ბურთიან ვარჯიშებსაც დაიწყებს. 1 თებერვალს „ვიტ ჯორჯია“ თურქულ ანთალიაში გაემგზავრება და თბილისში 17 თებერვალს დაბრუნდება.

„ვიტ ჯორჯია“ ამ დროისთვის მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა — დავით დიღმელაშვილი „დინამო თბილისში“ გადავიდა. თუმცა, შესაძლოა, „ვიტ ჯორჯიას“ კიდევ ერთი ნახევარმცველი გამოაკლდეს — გიორგი ფეიქრიშვილი უკრაინულ „კრივბასშია“ გასინჯვაზე

ვიტელებს შენაძენიც აქვთ — თავისუფალი აგენტის სტატუსით „ბორჯომიდან“ 19 წლის ირაკლი კიკნაძე იახლეს. კიკნაძე ფორვარდია, „ბორჯომში“ მეტწილად შეცვლებზე თამაშობდა, თუმც შედეგიანობითაც გამოირჩეოდა და პირველ წრეში გოლი „ვიტ ჯორჯიასაც“ გაუტანა.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ფეიქრიშვილი

# ტორპედოს წლები მოიკლო

**ჯერჯერობით** ისევ გადაუწყვეტელია ქუთაისის „ტორპედოსა“ და კომპანია „ვისოლის“ ურთიერთობა. როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა გოგა მინდელმა გვითხრა, ეს საკითხი ორიოდ დღეში უნდა მოგვარდეს. მანამდე კი გუნდი ბაზაზეა ჩაკეტილი და გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

გუნდიდან წავიდა კაპიტანი დავით გამეზარდაშვილი, ვინც ახლა ლატვიურ „სკონტოშია“. ახალწვეულები კი ირაკლი სირბილაძე და კახა კვეტენაძე არიან. რაც შეეხება დავით ჯანაშიას და გელა ფანჩულიძეს, ისინი გუნდთან ერთად აღარ ვარჯიშობენ.

„ტორპედო“ ჯერ შინ კი ემზადება, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა კიდევ ორ შეკრებას გეგმავს — ბორჯომსა და ანთალიაში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სად არის ფული?

**საჩხერის** „ჩიხურა“ ჯერ კიდევ დეკემბრის ბოლოს შეუდგა ვარჯიშს. ზემოიმერლები ბანკ „ქართუდან“ ფინანსურ დაფინანსებას ელოდნენ, მაგრამ ეს საკითხი ისე გაჯანჯლდა, დღემდე მოუგვარებელია. არც ისაა გარკვეული, სად ითამაშებს „ჩიხურა“ მეორე წრეში. სტადიონის რეკონსტრუქციის გამო საჩხერელებს ორი ვარიანტი აქვთ — თბილისი და ჭიათურა.

გუნდი მიხეილ მესხმა და გიორგი მანწკავამ რომ დატოვეს, კარგა ხნის ამბავია, ახალწვეულები კი ჯერაც არ ჩანან. ზემოიმერლები გაძლიერებას კი აპირებენ, მაგრამ ეს საკითხი ფინანსური პრობლემის მოგვარებამდე ვერ გადაწყდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# უფულო და უაფრიკო ბორჯომი

**10 იანვარს** დაიწყებს ვარჯიშს „ბორჯომი“. კურორტელთა რიგები უკვე დატოვეს აფრიკელმა ლეგიონერებმა მონგმა და ნკემმა.

სადღეისოდ „ბორჯომს“ ფინანსურად ნამდვილად არ ულხინს, ყოველ შემთხვევაში, შარშანდელი დონის გუნდს არ უნდა ველოდოთ. მათი ერთადერთი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, რაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ინგლისი

მეორე ლიგა. XXVII ტური

დონსი 2:2 ლინკოლნი

## ამხანაგური მატჩები

ბეშიქთაში 0:4 ვერდერი

ლაციო 3:1 მარსელი

ბაიერნი 0:0 (პენ. 3:4) ბენფიკა

ირანი 1:2 ჰამბურგი

საამიროები 2:1 შტუტგარტი

საუდის არაბეთი 3:0 გამბია

იემენი 4:1 ერითრეა

# მთიდან ზღვაზე

## უჰრინმა დინამო ანთალიაში წაიყვანა



ვახტანგ ფოლადაშვილის ფოტო

თბილისის „დინამო" დღეს ანთალიაში ათდღიან შეკრებაზე მიემგზავრება. დუშან უჰრინის სიაში 25 ფეხბურთელია, მათ შორის დავით დილმელაშვილი, რომელიც „დინამომ" ორიოდ კვირის წინ „ვიტ ჯორჯიადან" გადაიბირა, ავსტრალიელი ნედ ზელიჩი და ჭაბუკები — ნახევარმცველი გიორგი გუგავა და მეკარე გიორგი მაკარიძე, რომლებიც მწვრთნელმა მთავარ გუნდში „დინამო 2"-დან დაიმატა. გუნდს ანთალიაში ტრანსფერზე დაყენებული ფეხბურთელების გარდა არ გაჰყვებიან გიორგი ნავალოვსკი და ზვიად სტურუა. ერთს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ხოლო მეორის წაყვანა მწვრთნელმა ამ ეტაპზე საჭიროდ არ ჩათვალა.

სავარაუდოდ, „დინამოს" ანთალიაში შეემატება სამი უცხოელი ფეხბურთელიც. მათი ვინაობა ჩვენთვის ჯერ უცნობია, დუშან უჰრინი კი უცხოელების დატოვება-გაშვების ამბავს მოგვიანებით გადაწყვეტს.

მოკლედ, დღეს „დინამო" ანთალიაში მიდის და ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „სელინში" დაბინავდება. აქამდე კი „დინამო" ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად ოთხი დღით ბაკურიანში იყო. დუშან უჰრინი ბაკურიანიდან კმაყოფილი დაბრუნდა, ახლა კი ანთალიურ საქმეს შეუდგება.

უჰრინს ანთალიაში ეს ფეხბურთელები მიჰყავს: *გრიშიკაშვილი, ლორია, მაკარიძე, გიგაური, თომაშვილი, აკობია, გ. ბოლქვაძე, ჩირიკაშვილი, გუგავა, კაწაძე, ნერგაძე, ოდიკაძე, ზელიჩი, ნოზაძე, ს. კობახიძე, გ. მერებაშვილი, დილმელაშვილი, დვალი, გ. კაშია, შ. კაშია, კაკალაძე, ხმალაძე, ზ. ჯანაშია, ხუციშვილი, ს. იაშვილი.*

**ძოგა ინასარიძე**

# სტემკორმა ილია კოკაიას საქართველოს ვიზა გადასცა



ვახტანგ ფოლადაშვილის ფოტო

ილია კოკაია

„ზესტაფონი" ბაკურიანშია, სადაც შეკრების პირველ ეტაპს გადის. ჯერჯერობით სიახლე ისაა, რომ კლუბი დატოვა თავდამსხმელმა გრიგოლ იმედაძემ, ახალწვეული კი მხოლოდ ოლიმპელი როინ ონიანია. კონტრაქტები გაგრძელდა ყველა იმ ფეხბურთელთან, რომელთაც ხელშეკრულება დამთავრებული ჰქონდათ.

როგორც შევიტყვეთ, იმერლები რამდენიმე სერიოზული ტრანსფერის განხორციელებასაც აპირებენ და არ არის გამორიცხული, ლეგიონერებიც ჩამოიყვანონ — ბრაზილიელ და აფრიკელ ფეხბურთელებზე გია გურული და გოჩა ალადაშვილი მუშაობენ, თუმც ეს ყველაფერი შეკრების მეორე ეტაპისთვის გადაწყდება, რომელსაც გუნდი ურეკში გაივლის. ამის შემდეგ კი „ზესტაფონი" ანთალიაში წასვლასაც გეგმავს.

და ერთიც: ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც გუნდის პატრონია, ინგლისურმა კომპანია „სტემკორმა" შეიძინა და, როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, ახალი მეპატრონე ფეხბურთს ზურგს არ შეაქცევს.

კომპანია ჰოლდინგის თუ გაერთიანების შექმნას აპირებს, რომელშიც „ჯორჯიანმანგანუმი", ფეროშენადნობი ქარხანა და „ვარციხჰესი" შევლენ. „სტემკორს" ხუთწლიანი პროგრამა აქვს შემუშავებული და მიზნად ისახავს სერიოზულ გეგმებს, რომელშიც საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებაც შედის.

კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას, რომელიც ფეროშენადნობთა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო, ქარხნის პრივატიზაციის დროს ხელისუფლებასთან უთანხმოება ჰქონდა, თუმც ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და კოკაია საქართველოში ბრუნდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პროფლიგა ახალ ტალღაზე

## საქართველოს ჩემპიონატს რადიოშიც მოუსმენთ

საქართველოს მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ახალ ტალღაზე შეხვდება — პფლ-სა და „რადიო საქართველოს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მეორე წრიდან რადიო „ფორტუნა" და რადიო „არ დაიდარდო" ყოველი ტურის მთავარ მატჩს პიარ-კამპანიას გაუწევენ.

პროფლიგის აზრით, ეს ხელს შეუწყობს ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციას, რამაც, რა თქმა უნდა, სტადიონებზე მაყურებლის რაოდენობის ზრდა უნდა გამოიწვიოს.

მხარეები კონტრაქტის გაფორმებით კმაყოფილები არიან და ქომაგებს ტრიბუნებზე დაბრუნებას უსურვებენ.

**ძახა შალამბერიძე**

# ქართული ფუტსალის მალტური ტური

## აღარც ბრაზილია, აღარც იბერია

საქართველოს ფუტსალის ნაკრებს მალე მნიშვნელოვანი მატჩები ელის — მალტაზე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლში, ჩვენები კვიპროსის, ყაზახეთისა და მასპინძელთა ნაკრებებს გაეჯიბრებიან. ამ ოთხეულიდან მომდევნო ეტაპზე ორი საუკეთესო გავა. მატჩები კი 18, 19 და 21 იანვარს გაიმართება.

ნაკრებს რომ მწვრთნელი შეეცვალა, ალბათ უკვე იცით: ანდრო მიზანდარის ნაცვლად გუნდს დავით სოლოღაშვილი უთავკაცებს. მალტაზე ჩვენებს ვერ დაეხმარება ლიდერი ბესო ზოიძე, რომელმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

და რადგან ფუტსალის თემას ვუტრიალებთ, ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ჩემპიონი „იბერია 2003" დაიშალა. გეცოდინებათ, ამ გუნდს ბრაზილიელი მწვრთნელი და რამდენიმე ბრაზილიელი მოთამაშეც ჰყავდა... „იბერია 2003"-ის ქართველი ფეხბურთელები კი „ცენტრპოინტში" გადავიდნენ.

**ილია ნანობაშვილი**

# ამერმა კაკაშვილი ზღვაზე გადმოატარა

## ყვითლებმა სასტუმრო გამოცვალეს, მოედანი არა

**თბილისიდან 5 იანვარს გამოვემგზავრეთ ჩვენივე ავტობუსით. მგზავრობა ზედმეტად მომქანცველი რომ არ ყოფილიყო, ღამე გრიგოლეთში, სასტუმრო „ანდამატში" გავათენეთ. 6 იანვარს გამთენიისას კი გეზი ავიღეთ ტრაპიზონისკენ, საიდანაც თვითმფრინავით გამოვფრინდით ანთალიაში...**



შეკრებას, ტრადიციულად, ანთალიიდან 25 წუთის სავალზე დაბა ბელეკში გავდივართ. ოღონდ სასტუმრო „არკადიის" ნაცვლად, სადაც წინა ორი შეკრებისას გავჩერდით, სასტუმრო „ატლანტისში" დავბინავდით, ვარჯიშები კი იმავ მოედნებზე გვაქვს, სადაც ადრე ვვარჯიშობდით.

გიორგი ჩიხრაძემ პირველი, შედარებით მსუბუქი ვარჯიში ჩამოსვლის დღესვე, საღამოს ჩაატარა.

ამ დროისთვის მთავარი ამერული სიახლე ის არის, რომ გუნდს შეუერთდა ბულგარეთიდან ჩამოსული მცველი ლადო კაკაშვილი, რომელიც „ყვითლებთან" ერთად ივარჯიშებს და დიდი შანსია, ჩემპიონატის მეორე წრიდან „ამერის" ღირსება დაიცვას, რისი სურვილიც კლუბსაც აქვს და 26 წლის ფეხბურთელსაც, თუმცა კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა.

„ამერის" და ლადო კაკაშვილის გაცნობა შესაძლო იყო, ერთი წლის წინაც მომხდარიყო. შარშანდელი თურქული შეკრებისას ამხანაგურ მატჩებში „ამერის" ერთ-ერთი მეტოქე ბულგარული „ბელასიცა" იყო — კაკაშვილის იმდროინდელი გუნდი, რომელსაც „ამერმა" 1:0 მოუგო. მაგრამ მაშინ გაცნობა არ გამოვიდა, რადგან ლადოს ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა და გუნდს თურქულ შეკრებაზე საერთოდ არ გაჰყოლია.

„ბელასიცას" გარდა კაკაშვილს თბილისის „დინამოს" დუბლებში, თბილისისა და მოსკოვის „ლოკომოტივში" და ვარნის „ჩერნომორეცში" უთამაშია. იყო საქართველოს 16, 17 და 21-წლამდელთა ნაკრებების წევრი...

— ჩემი „ამერში" მოსვლა, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოხდა. 5 იანვარს ვარნის „სპარტაკთან" უნდა გამეფორმებინა კონტრაქტი, ორი დღით ადრე კი „ამერის" გენერალურმა მენეჯერმა ვახტანგ ბზიკაძემ დამირეკა და ანთალიაში „ამერთან" ერთად წასვლა შემომთავაზა.

— **როგორია პირველი შთაბეჭდილება?**

— საუკეთესო. შეკრება უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული, დატვირთვებიც სერიოზულია. ერთი სიტყვით, ყველაფერში იგრძნობა, რომ „ამერი" ამბიციური გუნდია.

— **საქართველოს ჩემპიონატის დონეზე რას იტყვი?**

— ბოლო ოთხი წელი უცხოეთში ვითამაშე და საქართველოს ჩემპიონატს თვალყურს ვერ ვადევნებდი, ამიტომ პასუხის გაცემა მიჭირს. თუმცა იმის მიხედვით, რასაც „ამერში" ხედავ და რასაც ბიჭები მუყაითებიან, შეიძლება, დავასკვნა, რომ ჩემპიონობისთვის ძალიან დიდი კონკურენციაა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, წინ გადადგმული ნაბიჯია, თორემ მახსოვს, თავის დროზე „დინამო" ისე ხდებოდა ჩემპიონი, კონკურენტი არ ჰყავდა.

— **ამერელებიდან ვინმესთან ერთად ადრე ხომ არ გითამაშია?**

— კლუბებში არა, მე და გიორგი დეკანოსიძე ნაკრებში ვთამაშობდით ერთად. ისე, აქამდე თითქმის ყველას ვიცნობდი.

— **ბოლოს ეგებ ის ამბავიც გაიხსენო, მოსკოვის „ლოკომოტივში" რომ შეგემთხვა შეკრების წინ...**

— „ლოკომოტივის" დუბლებში ვიყავი და სიომინმა რომ მნახა, გადაწყვიტა, პირველ გუნდთან ერთად წავეყვანე შეკრებაზე სოჭში. სასტუმრო „იზმაილოვოსთან" უნდა შევკრებილიყავით და იქიდან უნდა წავსულიყავით აეროპორტში. რადგან ქალაქს კარგად არ ვიცნობდი, მითხრეს, სიომინკოს გამოჰყევიო — იყო მაშინ ასეთი ფეხბურთელი, ერთად ვცხოვრობდით. სიომინკომ ღამით გასეირნება გადაწყვიტა. გამთენიისას დაბრუნდა, ჩანთა აიღო და არც გამაღვიძა, ისე წავიდა. 8 საათი იყო, რომ გამეღვიძა, ვხედავ, არც სიომინკოა, არც მისი ჩანთა, „იზმაილოვოში" კი 7 საათზე უნდა მივსულიყავი. დავრეკე კლუბში, ასე მოხდა-მეთქი. იმათ მწვრთნელს შეატყობინეს და ბოლოს დამამშვიდეს, არ ინერვიულო, შენი ბრალი არ არისო.

**გიორგი დარჯანია**
**ბელეკიდან**

# ავტორიტეტული საქმე

## მერანი კუტივაძეს ჩააბარეს

უმაღლესი ლიგის დებიუტანტ თბილისის „მერანის" ახალი მწვრთნელი სერგო კუტივაძე იქნება. გუშინ კლუბის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა გამოცდილი სპეციალისტი გუნდს წარუდგინა და უკვე დღეიდან „მერანი" სწორედ კუტივაძის თავკაცობით შეუდგება ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას. მერანელები ჯერჯერობით თბილისში ივარჯიშებენ, შემდეგ კი, შესაძლოა, ისრაელში გაემგზავრნონ



— „მერანთან" კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, თუმცა კლუბის პრეზიდენტმა ფეხბურთელებთან უკვე წარმადგინა — გვითხრა გუშინვე სერგო კუტივაძემ — უახლოეს დღეებში, ალბათ, კონტრაქტსაც მოვაწერთ ხელს, იქამდე კი ვარჯიშს შევუდგებით. ფეხბურთელები 9 იანვარს დავიბარეთ. თებერვლამდე აქ მოვემზადებით, შემდეგ კი ვნახოთ...

— უცხოურ შეკრებას გეგმავთ?

— ეს საკითხი ჯერ გაურკვეველია, ჯერ თბილისში ვიქნებით, თებერვლიდან კი, შესაძლოა, უცხოეთშიც წავიდეთ.

— გუნდში სიახლე რა არის?

— სიახლე ის არის, რომ დღეს „მერანში" ერთბაშად 46 ახალი ფეხბურთელი მოვიდა. ამ რაოდენობას გუნდში მყოფი სხვა ფეხბურთელებიც დავუმატოთ და გამოდის, რომ სამშაბათს „მერანში" უკვე 80-მდე ფეხბურთელი იქნება. ძალიან ძნელია ერთდროულად ამდენ ფეხბურთელთან მუშაობა, მაგრამ რა გაეწყობა, ორმხრივი თამაშების შემდეგ გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია.

— ამ 46 ფეხბურთელიდან არავის იცნობთ?

— როგორ არ ვიცნობ, თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენიმე ფეხბურთელი თავად მივიწვიე. მაშინ ისინი ეროვნული გუნდის კანდიდატებადაც ითვლებოდნენ, თუმცა ახლა არ ვიცი, როგორ ფორმაში არიან.

— ჩანს, მეორე წრისთვის სერიოზულად გაძლიერებას აპირებთ...

— ასე გვაქვს დაგეგმილი და რა გამოგვივა, ჩემპიონატის განახლების შემდეგ გამოჩნდება. ისე კი, „მერანის" პრეზიდენტ დილარ ხაბულიანს უნდა, სწორედაც რომ სერიოზული გუნდი ჰყავდეს. გაკვირვებული ვარ, ამ სახელოვან ძიუდოისტ კაცს ფეხბურთი ასე ძლიერ როგორ შეუყვარდა. ვფიქრობ, ის მთელი საფეხბურთო საქართველოს სახელით იმსახურებს მადლობას იმისთვის, რასაც აკეთებს. 3-ათასიანი ჩინებული სტადიონი, იქვე რამდენიმე ხელოვნურსაფარიანი მოედანი, სასტუმრო, ყველანაირი პირობები, რათა გუნდი ნაყოფიერად მოემზადოს — ეს ყველაფერი დილარ ხაბულიანმა გააკეთა.

— ამ სეზონში „მერანის" მიზანი რა იქნება?

— ისეთი გუნდის გაკეთება, რომელიც მომავალ სეზონში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს. ჩემი ავტორიტეტის საქმეც არის, რომ „მერანი" ქვეყნის საუკეთესო გუნდებს შორის იყოს. მომდევნო სეზონში ქომაგი განსხვავებულ და იმედი მაქვს, გაცილებით ძლიერ „მერანს" ნახავს.

— მეორე წრიდან „მერანი" ახალ სტადიონზე ითამაშებს?

— დიახ, ჩემპიონატის განახლებამდე მოედანზე ბალახი წამოიზრდება, საფარი გასწორდება და იქ ვითამაშებთ.

**კობა ინასარიძე**

# არც ერთი ქართველი პორტუგალიაში

## ასათიანი უკეთაა, ჭელიძე არ ჩანს

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" ახალმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა პორტუგალიურ შეკრებაზე წასაყვანი შემადგენლობა გამოაცხადა და მასში არც ერთი ქართველი არ არის.

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი რომ რკინიგზელებს ამ შეკრებაზე ვერ გაჰყვებოდა, ისედაც ვიცოდით, ან, თავდამსხმელ გიორგი ჭელიძის ამბავი კი, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. შესაძლოა, მეორე შეკრებაზე ბიშოვეცმა შემადგენლობაში ცვლილებები შეიტანოს, თუმცა ფაქტია, ამ ჯერზე გიორგი სარეზერვო გუნდში ივარჯიშებს.

აქვე ვთქვათ მალხაზ ასათიანზეც: იგი 4 იანვარს ჩავიდა მოსკოვში და ახლა „ლოკომოტივის" ექიმების მეთვალყურეობით ვარჯიშობს. ასათიანი თავს უკეთ გრძნობს, ტკივილებიც აღარ აწუხებს და რამდენიმე დღეში გერმანიაში გაემგზავრება დასკვნითი სარეაბილიტაციო კურსის გასავლელად, იქიდან დაბრუნებულს კი უფრო დიდი დატვირთვების მიღებაც შეეძლება.

**ლუკა თალაკვაძე**

# გორს ახალი დილა გაუთენდა

საახალწლო-საშობაო დღეებში გორის „დილაში" ბევრი რამ მოხდა: მეტი რაღა, კლუბს ახალი პრეზიდენტი და ახალი მწვრთნელები ჰყავს. ძველი ხელმძღვანელობიდან ყველა გაათავისუფლეს და მნიშვნელოვნად იცვლება შემადგენლობაც. მიხეილ ლურსმანაშვილი — ბიზნესმენი, რომელმაც გორის „დილა" და თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი შეისყიდა. ლურსმანაშვილი „დილას" პრეზიდენტია, მან არჩილ ბეგიაშვილი შეცვალა. როგორც ამბობენ, კლუბს უფულობა აღარ ემუქრება, რაც შეეხება გუნდის შიდა სამზარეულოს, ამაზე „დილას" ახალ მთავარ მწვრთნელ მამუკა ვარდოსანიძეს ვესაუბრეთ...



— თვრამეტი წელია, „დილას" ასაკობრივ გუნდებს ვწვრთნიდი, უმაღლესი ლიგის გუნდის თავკაცობა ჩემთვის ახალი ხილია და ვეცდები, იმედები გავამართლო. ბოლოს 1991 წელს დაბადებულ ბავშვებთან ვმუშაობდი. ისე, რაც ბოლო წლებში „დილაში" გორელ ფეხბურთელებს უთამაშიათ, უმეტესობა ჩემი აღზრდილია.

— თქვენი თანაშემწე ვინ იქნება?

— ვლადიმერ ელიაური, რომელსაც მოლდოვის „შერიფშიც" უმუშავია ბავშვებთან.

— „დილა" უმაღლესი ლიგიდან გავარდნის პირასაა და რეალურად მიგაჩნიათ გუნდის გადარჩენა?

— ამისთვის უნდა ვიმუშაოთ — დილა" უმაღლეს ლიგაში უნდა დარჩეს. მეორე წრეში გუნდი საკმაოდ შეიცვლება და იმედია, უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ.

— რა ცვლილებები მოხდა შემადგენლობაში?

— გუნდში მხოლოდ ახალგაზრდები დავტოვეთ, დანარჩენები კი გავუშვით. მათ ნაცვლად ჯერჯერობით ხუთი ფეხბურთელი მოვიყვანეთ: ძმები ხანიშვილები, ძმები ჩიტაიები და გეგეშიძე. ნამატი კიდევ იქნება და თან სერიოზულიც.

— შეკრებას გორშივე გაივლით?

— კი, ასე გადავწყვიტეთ. სავარჯიშო პირობებიც კარგია, ფინანსური მხარეც მოწესრიგებულია და შეგვიძლია, დამშვიდებულები ვიყოთ.

— როგორც ვიცით, კლუბის ახალი ხელმძღვანელობა სტადიონის მოწესრიგებასაც აპირებს...

— დიახ, სამუშაოები უკვე დაიწყო, მაგრამ ყინვა გვიშლის ხელს, გაზაფხულზე კი უკვე სერიოზულად მოვეკიდებით საქმეს და პლასტმასის ინდივიდუალური სკამებიც დამონტაჟდება.

**ილია ნანობაშვილი**

# კვირკველიამ მოდებაძე დატოვა

**ზაპოროჟიეს** „მეტალურგი" ანთალიურ შეკრებაზე ერთი ქართველით გაემგზავრა — დავით კვირკველიას ირაკლი მოდებაძე მოგვიანებით შეუამხანაგდება.

კვირკველიამ ჩემპიონატის პირველი წრე ნაღრევად დაასრულა — ტრავმის გამო ბოლო ტურებში ვერ დაეხმარა გუნდს, თუმც ახლა მწყობრშია და შეკრებაზეც სრული დატვირთვით მოემზადება, მოდებაძემ კი ტრავმით ჩაამთავრა სეზონი და ოპერაციაც ამის შემდეგ გააკეთა. ირაკლის ებრაელმა ექიმებმა უმკურნალეს და ახლა ქართველი თავდამსხმელი სარეაბილიტაციო კურსს გადის.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, მოდებაძე „მეტალურგს" მეორე შეკრებაზე გაჰყვება.

**კახა შალამბერიძე**

# ლოკომოტივი ზღვაზე მალიჩავათი ჩავა

**თბილისის** „ლოკომოტივი" ვარჯიშს 8 იანვრიდან შეუდგა. ვაკელთა შემადგენლობაში სიახლეა ირაკლი მალიჩავას გამოჩენა, რომელიც პირველ წრეში ზუგდიდის „მგლებში" თამაშობდა.

როგორც რკინიგზელთა მწვრთნელმა ამირან მინაშვილმა გვითხრა, სხვა სიახლე მოსალოდნელი არც არის, მთავარი აქცენტი ჭაბუკებზე იქნება გადატანილიო.

„ლოკომოტივი" თვის ბოლომდე თბილისში ივარჯიშებს, მზადების მეორე ეტაპს კი ურეკში ან ქობულეთში გეგმავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ირაკლი მალიჩავა

# კიევის დინამომ გაგრა დაპატიჟა

**სეზონის** განახლებისთვის ემზადებიან პირველი ლიგის გუნდებიც და ერთ-ერთი მათგანი კიევის „დინამომაც" კი მიიწვია საკუთარ ბაზაზე კონჩე-ზასპაში.

კიევის „დინამო" ყოველწლიურად ატარებს მეკარე მაკაროვის ხსოვნის ტურნირს, რომელშიც თავად და დონეცკის „შახტარი" დუბლშემადგენლობებით თამაშობენ უკრაინის პირველი ლიგის გუნდებთან — ასეთ ტურნირზე საქართველოდან პირველლიგელი „გაგრაც" მიიწვიეს — გაგრელები კიევის „დინამოს" ბაზაზე იცხოვრებენ, ტურნირი კი 17-27 იანვარს გაიმართება.

„გაგრას" პრეზიდენტი ბესარიონ ჩიხრაძე უკრაინაში მოსაქმე ბიზნესმენია და ალბათ მისი კონტაქტებით მოხერხდა კლუბის მიწვევა ასეთ ტურნირზე, რომელსაც კიევის „დინამო" უმთავრესად სასელექციო მიზნებისთვის იყენებს.

„გაგრის" კონტინგენტს მეტწილად 1986-89 წლებში დაბადებული ფეხბურთელები შეადგენენ და მათთვის იოლი არ უნდა იყოს ასეთ შეჯიბრში თავის გამოჩენა, თუმც მეორე მხრივ, ეს ტურნირი უდავოდ სასარგებლო იქნება და შესაძლოა, უკრაინელებმა „გაგრაშიც" აღმოაჩინონ სატრანსფეროდ საინტერესო ერთი-ორი ფეხბურთელი.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს
ნუგზარ და თამაზ ბოკერიებს
მამის და ბაბუის
გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრიანოს გვიანი გოდიში

## ყირამალა აზრების დღეები




ადრიანო აღიარებს, რომ 2006 წელი შეცდომებით ჰქონდა სავსე და იმედოვნებს, რომ კოშმარი დასრულებულია.

„ამიერიდან, ალბათ, ბევრი რამ შეიცვლება — უთხრა ჟურნალისტებს ბრაზილიელმა ბაჰრეინთან 6:1 ამხანაგური გამარჯვების შემდეგ — აღარ ვნერვიულობ და მუხლჩაუხრელად ვშრომობ, თუმცა ცხადია, რომ დასამტკიცებელიც უამრავი რამ დამიგროვდა. იმის საჩვენებლად, რომ ძველებურად კარგი ფეხბურთელი ვარ, ჩემი სათქმელი პრესის ფურცლებზე კი არა, მოედანზე უნდა ვთქვა და ამ გეგმას სიდინჯით უნდა მივდიო. მწამს, წლეულს „ინტერს“ „სკუდეტოს“ მოგებაც შეუძლია და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც“.

მოგეხსენებათ, ადრიანოს მთელი ცხრა თვის განმავლობაში გოლი ვერ გაეტანა, ეს კი თავდამსხმელისთვის მეტისმეტად ძნელი გადასატანია. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება თავად ფორვარდმა:

„თავდამსხმელები გოლებისთვის არსებობენ, ხოლო როდესაც მეტოქის კარის დალაშქვრას ვერ ახერხებენ, ცხოვრება ურთულდებათ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უძნელესი პერიოდი გადავიტანე, თუმცა წამით არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი კალაპოტში ჩადგებოდა. ვიმედოვნებ, რომ 2007 წელს ისევ იმდენ გოლს გავიტან, რამდენიც საუკეთესო წლებში გამქონდა“.

სხვათა შორის, იმ პერიოდში, რომელსაც ბრაზილიელი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უძნელესს უწოდებს, დაირხა ხმები, რომ მას „ინტერის“ მწვრთნელთან რობერტო მანჩინისთან და ფანებთან იმდენად გაუფუჭდა ურთიერთობა, რომ საქმე სხვა გუნდში გადასვლაზეც კი იყო მიმდგარი.

„როგორც ნორმალურ კაცს, შეცდომებიც სხვა ნორმალური ადმიანების მსგავსად მჩვევია. მართლაც შევცდი უამრავ რამეში, იყო დღეები, როდესაც თავში ყირამალა აზრები მომდიოდა, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერზე მნიშვნელოვანი სწორედ საკუთარ შეცდომებზე სწავლა უნდა იყოს. ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და ამდენად სასწავლი მართლაც ბევრი მაქვს. მერედა, ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ, ზურგზე დიდი პასუხისმგებლობა მაწევს, ამიტომ ვცდილობ ფეხის თითოეული დაცდენა მაგალითად გამომადგეს და მომავალში ასეთი რამ აღარ გავიმეორო. კერძოდ, რობერტო მანჩინიზე ხშირად ვბრაზდებოდი და მეგონა რომ ყველაფერში მართალი ვიყავი, არადა, ამ ადამიანმა ძალიან დიდი დახმარება გამიწია. ამოდენა გამოცდილების კაცს არ უნდა ეურჩო და ყური უნდა დაუგდო. რას იზამ, სრულყოფილ ადამიანად ნამდვილად არ დავბადებულვარ“.

როგორც ირკვევა ადრიანოს კრიზისის სასიკეთოდ შემობრუნება იმ ერთკვირიანმა არდადეგებმა იტვირთა, ფორვარდს „ინტერმა“ შუა ჩემპიონატის დროს საჩუქრად რომ უძღვნა.

„როდესაც ამ არდადეგებზე რიოში ჩავედი და ოჯახი მოვინახულე, თავი ბედნიერ კაცად ვიგრძენი და მივხვდი, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. იმ ერთი კვირის განმავლობაში გონებაში ბატარეები გადავტვირთე. მანამდე ენერგია მართლაც გამოლევაზე მქონდა და გალიზიანებული უახლოეს ხალხს ვეჩხუბებოდი კიდეც. ფეხბურთელს... თუმცა რატომ მარტო ფეხბურთელს, ყველა ადამიანს ოჯახური გარემო ამშვიდებს და ცხოვრებისეულ ძალებს მატებს“.

**ბაჩუნა ძიძია**




# ლუიშ ალ იტიჰადი

მილანის „ინტერის“ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ლუიშ ფიგუმ საუდის არაბეთის კლუბ „ალ-იტიჰადთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მომავალი სეზონიდან არაბეთში ითამაშებს. ამის შესახებ კლუბის თავმჯდომარე მანსურ ალ ბალვიმ განაცხადა. „ჩვენ 2007 წლის 1 ივლისიდან ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ — ბრძანა ალ ბალვიმ. ხელშეკრულების დეტალები უცნობია, მაგრამ თავმჯდომარის თქმით, ეს ახლო აღმოსავლეთში განხორციელებული უძვირფასესი ტრანსფერია. „ლუიშ ფიგუს უდიდესი გამოცდილება აქვს და ჩვენი კლუბისთვის დიდებული შენაძენი იქნება“ — აღნიშნა ბალვიმ.

ჯერ კიდევ 2006 წლის ბოლოს გაირკვა, რომ „ალ იტიჰადს“ ლუიშ ფიგუს გადაბირება სურდა და მილანის „ინტერს“ 5 მილიონ ევროს უხდიდა, თან პორტუგალიელი არაბეთში 5 იანვარს უნდა გადასულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ინტერელებმა კი განაცხადეს, რომ ფიგუს სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებდნენ და მხოლოდ მისი კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ გაუშვებდნენ.

ლუიშ ფიგუმ სანაკრებო კარიერას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალს მერე დაანება თავი, ხოლო „ინტერში“ რობერტო მანჩინის ხელქვეით ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

ლუიშ ფიგუს უთამაშია „სპორტინგში“ (1989-1995), „ბარსელონაში“ (1995-2000) და მადრიდის „რეალში“ (2000-2005).

**ირაკლი ნინიძე**

# ეს ამბავი კანადაში მოხდა

## ბეკენბაუერმა მანჩესტერს მილიონები შეუთვალა




„ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა პარასკევს „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოლაპარაკებათა კაბინეტის აქამდე ჩარაზული კარი გაუღო — ინგლისელები ოუენ ჰარგრივსს იმ შემთხვევაში მიიღებენ თუ 30 მილიონ ევროს გადაიხდიან. ბეკენბაუერმა ეს თანხა „ბილდთან“ ინტერვიუში დაასახელა. მან თქვა, რომ 30 მილიონი ის ფულია, რომელიც მიუნხენის კლუბს კანადური წარმოშობის ინგლისელის გაყიდვას აფიქრებინებს.

„თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოლაპარაკებათა მაგიდას 30 მილიონი ევროთი მოუჯდება, ჩვენ მათ შემოთავაზებას განვიხილავთ. ასეთი თანხა ჩვენს სატრანსფერო ინტერესს გაალვიძებს“ — თქვა „ბაიერნის“ პრეზიდენტმა.

„სარბიელს“ ბევრჯერ დაუწერია, რომ აქამდე „ბაიერნი“ მანჩესტერელთა ჰარგრივსთან დაკავშირებულ წინადადებას ცივი უარით პასუხობდა. ინგლისელი ფეხბურთელის მიმართ გაძლიერებული ინტერესი კი მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოდის, განსაკუთრებით კი მეოთხედფინალიდან, სადაც ინგლისელებმა პორტუგალიასთან პენალტებით წააგეს. ეს ის თამაშია, რომელშიც უეინ რუნი მოედნიდან გააძევეს, ჰარგრივსმა კი თავის როლთან ერთად მისიც შეითვისა და გუნდს რიცხობრივი ჩამორჩენა არ დაატყო. ერთი სიტყვით, ინგლისმა თავისი „გერმანელი“ ბიჭი ხელახლა აღმოაჩინა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მისი ყიდვა გადაწყვიტა და... „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერის კარლ-ჰაინც რუმენიგეს მრავალჯერად უარს გადააწყდა. **not for sale** — „დააწერა“ რუმენიგემ ნახევარმცველს, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჯიუტ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს მაინც ვერაფერი შეასმინა და მისგან სარეკორდო რაოდენობის შეთავაზებები მიიღო.

და თვითონ ჰარგრივსი?

თვითონ ჰარგრივსმა დეკემბერში განაცხადა, რომ მანჩესტერში გადასვლა უნდა და სიამოვნებით ითამაშებდა იმ ქვეყანაში, რომლის ნაკრებსაც წარმოადგენს.

ბეკენბაუერი: „ის რომ ჩვენ იმ ფეხბურთელის შენარჩუნება გვინდა, რომელმაც სულ ახლახანს მოაწერა ხელი განახლებულ კონტრაქტს, ნორმალურია. მერედა, ამ ფეხბურთელს ახალ გუნდში გადასვლა მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ ისინი მას მეტ ხელფასს ჰპირდებიან“.

მოგეხსენებათ, ჰარგრივსი სექტემბერში სერიოზულად დაშავდა — ფეხი მოიტეხა. იგი „ბაიერნში“ 1997 წელს მივიდა და ამასწინათ 2010 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი, თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამასწინათ განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ სურს გადასვლა, ხოლო მისი არგუმენტები ცოტა განსხვავდებოდა იმისგან, რაც ბეკენბაუერმა მოიტანა.

„მეძლევა საშუალება ვითამაშო იმ ლიგაში, რომელშიც ძალები არ მომისინჯავს. გარდა ამისა ეს ლიგა არის იმ ქვეყანაში, რომლის ნაკრებშიც ვთამაშობ და სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობს და თუ ვინმეს ამ სურვილის ბუნებრიობა არ ესმის, ვერც გაიგებს. არა მგონია მთელს საფეხბურთო მსოფლიოში ვინმე სხვაც იყოს ჩემნაირ მდგომარეობაში. მე ხომ არ ვამბობ, რომ „მილანში“ მინდა წასვლა. აქ ფულის ამბავი არ არის. ინგლისი ჩემი სამშობლოა. მამაჩემი და ჩემი ძმები მართალია, კანადაში ცხოვრობენ, მაგრამ მამაჩემის მთელი სანათესაო ბოლტონშია, ხოლო დედაჩემი ფესვებით რიოლიდან არის. სამწუხაროა, რომ არის ხალხი, ვისაც ჯერ კიდევ ნახევრად გერმანელი ვგონივარ, მაგრამ არა, ბატონებო, მე ბრიტანულ ოჯახში აღზრდილი ადამიანი გახლავართ, უბრალოდ ეს ამბავი კანადაში მოხდა“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ვილი ობამეიანგი თამაშობს!



ანჩელოტის ობამეიანგი (შუაში) უხარია

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ამბობს, რომ „შავ-წითლებს" ახალი თავდამსხმელის ყიდვა არ სჭირდებათ. რამ ათქმევინა გამოცდილ საფეხბურთო საქმოსანს ასეთი რამ? „ბერლუსკონის თასზე" ვილი ობამეიანგის საუცხოო თამაშმა.

ეს ამბავი, მოგეხსენებათ, შაბათს მოხდა, „მილანმა" „იუვენტუსს" სძლია 3:2. საერთოდ, „ბერლუსკონის თასი" ან თუ იტალიურად გნებავთ „ტროფეო ბერლუსკონი" ზაფხულობით იმართება ხოლმე, მაგრამ გასული ზაფხული „მილანისა" და მითუფრო „იუვესთვის", მოგეხსენებათ „კალჩოპოლური" იყო და ამიტომ მატჩი ზამთარში ჩატარდა.

„ვინჩენცო იაკინტა? ანტონიო კასანო? რონალდო? არა, გმადლობთ, ჩვენ ობამეიანგი გვყავს — თქვა გალიანიმ 19 წლის ფრანგზე — ჩვენ თავდასხმაში ახალი არავინ გვჭირდება. თუ ჩვენ გადავწყვეტთ, რომ წინა ავანგარდი გასაძლიერებელი გვყავს, სწორედ ამ ახალგაზრდას გადავიყვანთ მთავარ გუნდში".

დიდი ხანი არ არის, რაც პრესაში მილანელებს ვინჩენცო იაკინტასთან აკავშირებდნენ და წერდნენ, რომ იტალიელი ფორვადი გალიანის ოფისს 12,6 მილიონი ევრო დაუჯდებოდა. ამასთან ერთად ამბობდნენ იმასაც, რომ „მილანი" მადრიდის „რეალთან" კასანოსა და რონალდოს შესახებ აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რომლებიც მილანელთა უარით დასრულდა.

„მარცხენა ფრთაზე ლეანდრო გრიმი ვიპოვეთ. ეს ფეხბურთელი უეჭველად აიმაღლებს კლასს. ამას გარდა, ვცდილობთ „სან სიროზე" მასიმო ოდო ჩამოვიყვანოთ, მეტს კი არაფერს ვაპირებთ" — განმარტა გალიანიმ.

კიდევ „შავ-წითელთა" ბანაკი ელოდება ცნობას მარკო ბორიელოს დოპინგ-დისკვალიფიკაციის ვადის შესახებ.

„თუ ბორიელოს დისკვალიფიკაციას მიუსჯიან, ობამეიანგს ვათამაშებთ. იგი ახალგაზრდულ გუნდში ბომბარდირთა ლიდერი და საუცხოო მოთამაშეა" — დაავგვირგვინა ვიცე-პრეზიდენტმა.

და მაინც, რა ჯიშისაა ვილი ობამეიანგი, რომელმაც კრისტიან ბროკის შეცვლის შემდეგ შეხვედრის ბოლო გოლით „ტროფეო ბერლუსკონის" ბედი გადაწყვიტა? იგი გაბონური წარმოშობის პარიზელი გახლავთ, რომელსაც „შავ-წითლების" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ასე ახასიათებს:

„ვილი „მილანის" იმ მოსავლის ნაწილია, რომელსაც ჩვენი გუნდის მომავალი ეკუთვნის. ის სწრაფია, ჭკვიანი და მოწადინებული. მას ძალიან შორს წასვლა შეუძლია".

**ბაკუნა ძედია**



# დოკუმენტური რასიზმი

## სანიოლმა არაგონესი გააშავა

**ფრანგულმა** CANAL+-მა 7 იანვარს დოკუმენტური ფილმი აჩვენა, რომელშიც მიუნხენის „ბაიერნისა" და საფრანგეთის ნაკრების მცველმა ვილი სანიოლმა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ლუის არაგონესი რასიზმში დაადანაშაულა.

დოკუმენტური ფილმის სახელია **RENDEZ-VOUS LE 9 JUILLET** („შეხვედრა 9 ივლისს") და იგი განვლილ მუნდიალზე ფრანგთა ნაკრების მსვლელობას ასახავს. ფილმში ზიდანისა და მატერაცის სახელგანთქმულ ინციდენტს დიდი დრო ეთმობა, ისევე როგორც ლუის არაგონესის ლანძღვას — მას შემდეგ რაც „მეცნიერმა" ტიერი ანრის „აყროლებული მაიმუნი" უწოდა, გალებს მოხუცი შესძულდათ და შანსს არ უშვებენ, რომ არ გააქიაქონ.

„არაგონესი რასისტია, ამით ყველაფერია ნათქვამი, ესპანეთის მწვრთნელს განსხვავებული კანის ფერის მქონე ადამიანებზე თავისებური, პირადად ჩემთვის მიუღებელი წარმოდგენა აქვს" — განაცხადა ვილი სანიოლმა ჟურნალისტებთან.

არაგონესი არა, მაგრამ ლილიან ტურამმა ესპანური პრესა გააკრიტიკა. „ესპანური გაზეთები საფრანგეთ-ესპანეთის შეხვედრის წინ ზიდანს ლანძღავდნენ. საფინალო სასტვენის შემდეგ კი „დაჩაჩანაკებული" ზიდანის ძლევამოსილების აღიარება მოუხდათ, მაშინ ხომ ჩვენ 3:1 გავიმარჯვეთ და ზიზუმ ამ მოგებაში ლომის წილი შეიტანა" — თქვა ლილიან ტურამმა.

თავად ზინედინ ზიდანი ფილმში მატერაცისთან სახელგანთქმულ თავურს ასე იხსენებს: „რაც მოხდა, მოხდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ იმ ჩხუბიდან სასიამოვნო მოგონებები გამომყვა, მატერაცისთან დაკავშირებული ინციდენტი მთელი ცხოვრება მემახსოვრება..."

**ლადო ხომერიკი**

# შორით ტკბობა ახლოში გამწარდა

## კასანომ კაპელოს სასწორი ესროლა



**ანტონიო კასანომ** პირი მოალო და ფაბიო კაპელო თავის მადრიდის „რეალიანად" აკრიტიკა, მაგრამ ვაი თუ იჩქარაო, ამბობენ საქმეში ჩახედულები — „მილანმა" მისი და რონალდოს ყიდვაზე უარი განაცხადა.

„როდესაც კაპელომ „რომა" მიატოვა, ერთადერთი ადამიანი ვინც იგი დაიცვა მე ვიყავი და მენდეთ, ეს საქციელი როგორც ეკონომიურად ასევე მეგობრების დაკარგვის თვალსაზრისით ძვირად დამიჯდა — თქვა კასანომ და განაგრძო — საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ „რომადან" წასვლა მომიხდა. მას მერე, მე მადრიდში ვიყავი ის კი „იუვენტუსში" მუშაობდა და ასეთ შორ მანძილზე მაქებდა, მაგრამ ერთად შევიყარეთ თუ არა, ერთი შეცდომაც არ მაპატია".

ფაქტია, რომ კასანო „დონ ფაბიოს" ყოველთვის თავის მასწავლებლად მოიხსენიებდა და სამი წლის წინ კაპელო „რომადან" „იუვენტუსში" რომ წავიდა — რაც იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მთელ „რომას" შოკი დასცა — თავდამსხმელმა განრისხებულ თანაგუნდელთაგან განსხვავებით მწვრთნელი არ გალანძღა. ერთი სიტყვით, კასანო „რეალში" გადავიდა, სადაც საქმეები კარგად არ წაუვიდა და მაშინაც კი, როდესაც მადრიდული გუნდის მწვრთნელად კაპელო დანიშნეს, „სამეფო გუნდის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერაფრით დაიმკვიდრა.

კასანო: „ათ შეხვედრაში გავხურდი, მაგრამ მოედანზე შესვლას ვერ ველირსე. ამ შეხვედრებიდან თითოეული მწარედ მახსოვს. მუხლჩაუხრელად ვმუშაობდი, 8 კილოგრამი დავიკელი, რისი შედეგიც ის გამოვიდა, რომ დღეს მადრიდის ბოლო თავდამსხმელად ვითვლები, არადა, მერწმუნეთ, რონალდოს გარდა აქ მყოფთაგან არც ერთს არაფერში ჩამოუვარდები".

ესპანური გაზეთი **AS**-ი კი ამტკიცებს, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯარა სენსაციური გარიგებით შეიძლებოდა დასრულებულიყო — „რეალი" „მილანს" რონალდოსა და ზედაც კასანოს აძლევდა, მაგრამ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ რად მინდაო, შეუთვალა.

და რა გამოვიდა? კასანო ვერსად გადადის, რადგან, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მისთვის წლიური 4,14 მილიონი ევროს გადამხდელი — არადა იტალიელის მადრიდული ხელფასი სწორედ ეს არის — არავინ არის.

კასანო: „ინტერი" ან „მილანი"? „ინტერი" ჩინებულად თამაშობს, „მილანი" კი პრობლემებით არის სავსე, მაგრამ ვინ იძლევა გარანტიას, რომ მე ამ პრობლემების მომგვარებელი ვარ? მე პატივისცემა და სიყვარული მჭირდება. უნდა ვიცოდე, რომ კლუბისთვის, რომელშიც ვთამაშობ, მნიშვნელოვანი ვარ. მადრიდში მსგავსი გრძნობები ჩემთვის უცხოა, სხვანაირად კი მე ვერ ვითამაშებ. საფეხბურთო ენაზე რომ გითხრათ, საკუთავრ თავს აღარ ვგავარ".

**ბაკუნა ძედია**



# ძვირი ბარძალი

**„პალერმო"** მზადაა გაყიდოს ანდრეა ბარძალი, მაგრამ მისი შეძენა მყიდველს ძვირი დაუჯდება. ამის თაობაზე კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ განაცხადა. მსოფლიოს ჩემპიონი მცველი ბევრ იტალიურ გრანდს სურს და ცდილობენ ზამთარშივე დაიბევონ ფეხბურთელი. „თუკი დიდ კლუბებს სურთ მისი შეძენა, მზად ვართ მათი წინადადებებს მოვუსმინოთ — ბრძანა კლუბის პატრონმა — რა თქმა უნდა, ჩემი აზრით ბარძალი საუკეთესო ლიბეროა იტალიაში და თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი მსოფლიოს ჩემპიონია, გვარიანი თანხა უნდა შემოგვთავაზონ".

„მილანს", „იუვეს" და „ინტერს" სურთ ბარძალის გადაბირება, თუმც ძამპარინის სიტყვებს თუ მივყვებით, რიგში პირველ ადგილზეა „ფიორენტინა". ცნობილი გახდა, რომ „პალერმომ" ბარძალის სანაცვლოდ სატრანსფერო ოპერაციაში „ფიორეს" თავდამსხმელი ჯამპაოლო პაცინი მოითხოვა. შეგახსენებთ, რომ „პალერმოს" ფორვარდი მაური ტრავმირებულია და გუნდს ახალი შემტევი სჭირდება. სწორედ ამიტომ ითხოვენ სიცილიელები ჯამპაოლო პაცინის.

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიჩელ სალგადოს „რეალში“ აღარ დაედგომება

# ფაბიო კაპელო კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარს არ ასახელებს



წაგებით დაამთავრა და ასევე დაიწყო. ფაბიო კაპელოს „რეალი“ ესპანურ პრიმერაში თავის გულშემატკივარს კარგს ვერაფერს სთავაზობს. გუნდმა ჩემპიონატში 2006 წლის ბოლო შეხვედრაში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „უელვასთან“ 0:3 წააგო, ხოლო 2007-ის პირველი ჯახი „რიასორზე“ „დეპორთან“ 0:2 დათმო. „დეპორტივომ“ ღირსეულად გაიმარჯვა. „პირველი გოლის შემდეგ მათ ძალიან სწრაფი ტემპი შემოგვთავაზეს, რასაც ჩვენ ვერაფრით ვუპასუხეთ და თამაშიც მასპინძელთა მოგებით დასრულდა. „რეალში“ კი არიან ფეხბურთელები, რომლებიც ამ გუნდის დონეს არ შეესაბამებიან, თუმცა ახლა მათი ვინაობის გამხელას არ ვაპირებ... მაგალითად, კანავაროს კარგი თამაში ვერ გამოუვიდა, თუმცა მას რომ ჩვენი დამარცხების მთელი ტვირთი ავკიდოთ, მართალი არ იქნება... მარსელოს და გაგოს მოედანზე ერთად გამოყვანა არ მინდოდა, ძალიან ახალგაზრდები არიან და ვიცოდი, რამხელა პასუხისმგებლობაც დააწვებოდათ ტვირთად. გაგოს კი აშკარად მეტის გაკეთება შეუძლია იმასთან შედარებით, რაც „რიასორზე“ გვიჩვენა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ სამეფო თეთრების დამრიგებელმა კაპელომ.

სენიორ სახელგანთქმული იტალიელი ჟურნალისტებთან დალონებული სახით წარსდგა და როგორც მისი ნათქვამიდან შევიტყვეთ, „რეალის“ დონისთვის შეუფერებელი მოთამაშეების გამხელა არ ეპრიანება, თუმცა ესპანური **ABC** დატრიალდა და „ბერნაბეუდან“ წამსვლელთა სავარაუდო სია გაიგო. ვერაფრით ვერ ვიტყვით, ამ ფეხბურთელების საერთოევროპული თუ შიდარეალური დონე დონ ფაბიოს რანაირად აკმაყოფილებს, მაგრამ სამეფო თეთრებს რომ გვარიანი დაფერთხვა არ ასცდებათ, ეს ცხადია. მოკლედ, **ABC**-ს ცნობით, გუნდი შეიძლება 16-მა(!) მოთამაშემ დატოვოს. ეს „რჩეულები“ მიჩელ სალგადო, ივან ელგერა, რობერტო კარლოსი, გუტი, რაული, რონალდო, დევიდ ბექემი, რაულ ბრავო, ხოსე ანტონიო რეიესი, ემერსონი, ფრანსისკო, პავონი, ალვარო მეხია, ოსკარ მინიამბრესი, ანტონიო კასანო, პაბლო გარსია და კარლოს დიოგო არიან.

ყველაფერი ეს „რეალის“ პრეზიდენტ კალდერონის, სპორტულ დირექტორ მიატოვიჩისა და თავად კაპელოს კრების შემდეგ გახდა ცნობილი. ორშაბათს სამეფო კლუბის თავკაცებს ცეცხლმოკიდებული კრება ჰქონდათ, სადაც (ისევ **ABC**-ს ცნობით) იტალიელს გუნდში კარდინალური ცვლილებები მოუთხოვია.

დონ ფაბიოს საფიქრალი მართლაც ბევრი აქვს. ვინც „დეპორტივოსა“ და „რეალის“ საკვირაო ჯახი იხილა, ფეხბურთში ნაკლებად ჩახედულიც რომ იყოს, მადრიდელთა სისუსტეს ადვილად შეამჩნევდა. გალისიური „დეპორტივო“ დღეს პრიერადივიზიონის ცხრილში მეთოთხმეტე ადგილზეა და გუნდის ისტორიაში ბრწყინვალე პერიოდი ნამდვილად არ აქვს, თუმცა „რეალის“ საჯარიმოში კაპაროსის შეგირდების ჯირითი ისე ადვილად მოხერხდა, თითქოს რიასორელები პრიმერადივიზიონისა და მსოფლიოს გრანდს კი არა, „ჩვეულებრივ“ მეტოქეს ერკინებოდნენ... მატჩის მეორე დღეს ესპანურმა გაზეთებმა ერთხმად აღნიშნეს, გაგოს და ბრაზილიელ მარსელოს თამაში არ წაუვიდათო.

უფერულად იბურთავესო, კაპაროსის შეგირდებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. „დეპორტივოს“ ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ მეტოქეს შემართებით, თამაშის ორგანიზებითა და ბურთაობის სწრაფი ტემპით ნამდვილად აჯობა. „პრიმერადივიზიონში ბოლო ცხრა თამაშში გამარჯვებას ვერ მივაღწიეთ და მოხარული ვარ, ეს ნავსი რომ „რეალთან“ გავტეხეთ. როცა გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული, ძლიერი მეტოქეების დამარცხებაც შეგვიძლია. თუ პროფესიონალი ხარ, მოდუნების უფლება არ გაქვს, ნებისმიერ ეპიზოდში ფრთხილად უნდა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში 3 ქულას თავის ანგარიშზე მოწინააღმდეგე ჩაიწერს“ — თქვა შეხვედრის შემდეგ გალისიური ფლაგმანის მწვრთნელმა ხოაკინ კაპაროსმა.

„დეპორის“ არისმენდიმ აღნიშნა, ის გოლი რომ ვერ შევაგდე გული საშინლად ჩამწყდაო. ექსატლეტიკოელმა თითქმის მთელი სამეფო დაცვა აცურავა და მერე კასილიასიც რომ ჩამოიცილა, ძელს ხეთქა ბურთი... „ძალიან კარგი გოლი იქნებოდა, ვწუხვარ, ბოლო მომენტში ხელი მომეცარა“ — განაცხადა არისმენდიმ.

ხოსე ანტონიო რეიესი კი დედაქალაქელთა ულიმღამო ბურთაობას დასტირის. „ასე ვერაფერს მივაღწევთ, ხასიათის სიმტკიცე გვაკლია“ — დაიჩივლა „მარკასთან“ ექსარსენალელმა და ექსსევილიელმა. რეიესმა მშვენივრად იცის სამეფო თეთრების წაგებით დედაქალაქელი ფანები რანაირადაც აღშფოთდებოდნენ, თუმცა ნირწამხდარ ინჩასობას ასე აიმედებს: „ფეხბური ასეთია. ხან მოიგებ და ხან წააგებ. ვიცი, რომ გულშემატკივრები გაბრაზებულნი არიან, ოღონდ ვურჩევ, დამშვიდდნენ. მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. შეუძლებელია „რეალი“ ამ გაუგებრობაში დარჩეს.“

ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა“ „ხეტაფეს“ ესტუმრა და ცხრილის სათავეში მოქცევის მშვენიერი შანსიც გაუშვა ხელიდან. კატალონიელებმა „კოლიზეუმ ალფონსო პერესიდან“ მარტო 1 ქულა წაიღეს — იმითაც ვერ იხეირებნენ, ხავის საჯარიმო რომ ვერ გაეტანა. „ხეტაფესთან“ კი გუნდის ლიდერებს, რონალდინიოს და დეკუს არ უთამაშიათ. „რონი და დეკუ მოედანზე ერთი დღით ადრე გამოჩნდებიან თუ ერთი დღით გვიან, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, ხავიმაც ბრწყინვალე საჯარიმო შეაგდო. ნელნელა რიტმში ჩავდგებით და შედეგებიც აღარ დააყოვნებს. ბერნდ შუსტერი დიდი ფეხბურთელი იყო, როგორც მწვრთნელიც შესანიშნავია, მისი გუნდები დაცვაში თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ, რაც დღეს „ხეტაფემაც“ დაგვიმტკიცა“ — თქვა „ბარსას“ მწვრთნელმა რაიკარდმა. უშეცდომო დაცვის მოყვარულმა შუსტერმა კი მედიასთან აღნიშნა, „ბარსელონას“ გარდა, ჩვენ წინ ნებისმიერი სხვა მეტოქე რომ ყოფილიყო, მატჩს აუცილებლად „ხეტაფე“ მოიგებდაო. „ჩვენების თამაშზე ოდენ კარგი მეთქმის. მოედანზე მთელი თავიანთი ძალა დახარჯეს, თუმცა გავბედავ და ვიტყვი, რომ მოგებაც გვეკუთვნოდა“ — განაცხადა მადრიდელთა დამრიგებელმა.

მრავლისმნახველ შუსტერს დაეჯერება და „კოლიზეუმ ალფონსო პერესის“ ჯახის მომსწრეებიც მის აზრს იზიარებენ — არ იყო „ბარსა“ მადრიდში ისეთი, როგორის ნახვასაც გულშემატკივარი მიეჩვია. „ხეტაფემ“ სახელიან მოწინააღმდეგეს აჯობა, თუმცა კატალონიური გაზეთები მაინც ჯიუტად ამბობდნენ — აი, იქ რომ დეკუ და რონალდინიო ყოფილიყვნენ...

მატჩს ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ლუის არაგონესიც დაესწრო. არავინ იცის, „ელ საბიომ“ თავის უბის წიგნაკში ვისი ჩაუქობა მოინიშნა, მაგრამ მექსიკის ნაკრების მწვრთნელი რომ ყოფილიყო, რაფაელ მარკესის თამაში ნამდვილად არ მოეწონებოდა. სამშობლოდან ახლად დაბრუნებულმა ოკეანისგაღმელმა მეორე ტაიმის დასაწყისში ვერ ივარგა და „ხეტაფეს“ გიზას პრაქტიკულად გოლი აჩუქა.

ესპანელთა ცხრილის სათავეში კვლავ „სევილიაა“. ანდალუზიელები „ლა რომარედაზე“ იქაურ „სარაგოსასთან“ დამარცხდნენ თუმცა „ხეტაფესთან“ ურონალდინიო „ბარსას“ ფრეს გამო ისევ ლიდერები არიან. ფრიად ოპტიმისტურადაა განწყობილი „სევილიას“ მწვრთნელი ხუანდე რამოსი: „რაში უნდა დავადანაშაულო ჩემი ფეხბურთელები? ვიტყოდი, რომ არაფერში. მხოლოდ იმ არგატანილი გოლის გამო ვწუხვარ, რომელიც ნამდვილად გვეკუთვნოდა.“

„სევილიას“ ბიჭები ხარივიც ჯანის პატრონები არიან, ამიტომაც ორმაგად მიხარია ასეთი მობილური და სახიფათო გუნდი რომ დავამარცხეთ. მალე ნახავთ, ჩემი გუნდი რა გამარჯვებებსაც მიაღწევს“ — თქვა „სარაგოსას“ მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა. რანაირად ასრულდება სენიორ ფერნანდესის მუქარა, მომავალში ვნახავთ.

ჰო, „ლა რომარედაზე“ ერთი ამბავიც მოხდა. მატჩის მსვლელობისას ერთმანეთს სევილიელი ფაბიანუ და არაგონელი დიოგო წაეკიდნენ და კარგა ხანს უბარტყუნეს მუშტები... არა კლანჭები (ქალებივით დაკაწრეს ერთმანეთი) სანამ მოწყალე მსაჯმა უიდიანო მაიენკომ არ გააშველა და წითელბარათაკიდებულები მოედნიდან არ მიაბრძანა. „მან მე საშინელი შეურაცხყოფა მომაყენა, რასაც ტელეკამერების წინ ნამდვილად არ გავიმეორებ“ — თქვა ლუიშ ფაბიანუმ. მერე ბრაზილიელმა ისიც აღნიშნა, არ ვიცი, დიოგო რას ფიქრობს, მაგრამ მე სტადიონზე ატეხილი ჩხუბის გამო მრცხვენია და გულშემატკივართაგან პატიებას ვითხოვო.

**ლადო ხომერიკი**

# ეტოო: არ იზარმაცო მილიონის თვალწინ!

სამუელ ეტოო რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, ყველამ იცის. გარდა ბრწყინვალე საფეხბურთო ნიჭისა, 25 წლის კამერუნელი შესანიშნავი ადამიანური თვისებებითაც გამოირჩევა. მოედანზე იგი „მკვლელია", გოლზე დაგეშილი მონადირე, რომელსაც მეკარეების რისხვას ეძახიან. თუმცა სტადიონს მიღმა აფრიკელი მეგობრებისთვის სათაყვანო, თავაზიან და მხიარულ ახალგაზრდა კაცად იქცევა. პრინციპულობა და მიზანდასახულობა კი ეტოოს არც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეკარგება თუ მოედანზე სამუელის მიზანი გოლის გატანაა, ცხოვრებაში რასიზმს ებრძვის.

უკვე კრაგა ხანია, ეტოო ტრავმის გამო ბურთს და მოედანს არ გაჰკარებია, 2006 წლის სექტემბერში, ბრემენის „ვერდერთან" ავბედითი მატჩის შემდეგ, „ბარსელონას" ერთ-ერთი მთავარი მეომარი გამოაკლდა, თუმცა საქმე უკეთესობისკენ მიდის და, ექიმთა ცნობით, აფრიკელი თავის საყვარელ საქმეს მცირე ხანში უნდა დაუბრუნდეს. „სიგიჟემდე მენატრება ფეხბურთი" — თქვა ეტოომ FIFA. COM-თან ინტერვიუში



— სენიორ ეტოო, გამოჯანმრთელების საქმე როგორ მიდის?

— გარს ექიმთა შესანიშნავი გუნდი მახვევია და მთლიანად მათ განკარგულებაში ვარ. მოვლენებს წინ არ გავუსწრებდა გეტყვით, რომ მზად მაშინ ვიქნები, როცა ექიმები ჯანმრთელად ჩამთვლიან. თუმცა, ცხადია, მინდა, რაც შეიძლება ჩქარა დავუბრუნდე ფეხბურთს.

— ადამიანი ცხოვრებაში ყველანაირი სიტუაციიდან რაღაცას სწავლობს. თქვენ ამ უქმად ყოფნის პერიოდიდან რისი გამოცდილება შეიძინეთ? თუმცა ძნელია, ტრავმიანობას რაიმე დადებითი აღმოუჩინო...

— მართლაც ძნელია. ვცდილობდი, სასოწარკვეთაში არ ჩავვარდნილიყავი. ალბათ, საწოლზე მიჯაჭვული უფრო ჯიუტი, სიცოცხლისუნარიანი გავხდი. ვფიქრობდი მომავალ თამაშებზე, მოედანზე მალე დაბრუნებაზე, „ბარსელონას" გოლებზე და ასე შემდეგ. მთავარია, ფეხბურთს სრულ საბრძოლო ფორმაში დავუბრუნდე.

— თქვენ მძიმე დარტყმა ადრეც მიიღეთ, ოღონდ იგი სამუელ ეტოოს გარდა, მთელმა მისმა სამშობლომ გადაიტანა — 2006 წელს კამერუნმა შესარჩევებში წააგო და მუნდიალზე მოხვედრის შანსი დაკარგა. მაშინდელ და დღევანდელ თქვენს სულიერ მდგომარეობას ერთმანეთს შეადარებდით?

— არა, შეუძლებელია, რა თქმა უნდა, კამერუნის მუნდიალზე ვერმოხვედრა ძალიან მძიმე დარტყმა იყო. მთელი ქვეყანა ჩვენს წარმატებებს ელოდებოდა, ჩვენ კი დავმარცხდით, თუმცა მიზნის მისაღწევად თავი არ დაგვიზოგავს. დღევანდელი ჩემი სატკივარი კი სხვანაირია. ტრავმის გამო თანაგუნდელებს ვერ ვეხმარები და იძულებული ვარ, მატჩებს ტრიბუნიდან ვუცქირო. კამერუნის მარცხი და ეტოოს ტრავმა სხვადასხვა რამაა, ოღონდ ორივე მძიმე ასატანია.

— თქვენ გიცნობენ, როგორც რასიზმთან მებრძოლს. რასობრივ ჩაგვრასთან ბრძოლას პირად გამოწვევად თვლით?

— ეს გრძელი და რთული ომია, რომელშიც ყოველდღე უნდა იბრძოლო. ყოველთვის ასე ვამბობ — მათ შეუძლიათ, მტკივნეულად გვითავაზონ, მაგრამ დამარცხებით ვერასდროს ვერ დაგვამარცხებენ. რასიზმთან ბრძოლით სერიოზულად ვარ დაინტერესებული და ყოველ ღონეს მივმართავ, ეს საძაგელი მოვლენა საფუძვლიანად რომ შევარყიო. რასიზმი საზოგადოების სირცხვილია და ასეთ სისულელეებს საფეხბურთო მოედნებზე ადგილი ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს.

— მხოლოდ 25 წლის ხართ და მთელ აფრიკაში უკვე სამაგალითო პიროვნებად ითვლებით. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— მსიამოვნებს, როცა ამას ამბობენ. ვცდილობ, ევროპაში ჩემი საქმე კარგად გავაკეთო, რათა აფრიკელმა ბავშვებმა ოცნების უნარი და დიდი წარმატებების მიღწევის იმედი არ დაკარგონ. როცა მილიონობით თვალი მოგჩერებია, უბრალოდ, უფლება არ გაქვს, მოედანზე იზარმაცო. ჩემთვის ხალხის ნდობა უდიდესი პატივია.

— 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი აფრიკის კონტინენტზე გაიმართება...

— ცხადია, ეს სიამოვნებას მანიჭებს. 2010 წლის სამხრეთაფრიკული მუნდიალი ნათელი მაგალითი იქნება იმისა, რომ შავ კონტინენტს ეგზომ საპასუხისმგებლო ტურნირის მასპინძლობა და ჩემპიონატზე წარმატების მიღწევა შეუძლია. მუნდიალს მოუთმენლად ველოდები.

— რასაკვირველია, ტურნირზე კამერუნის ყოფნასაც ელოდებით...

— უეჭველად. გერმანიაში ვერ მოვხვდით, რის გამოც გულშემატკივრები დავამწუხრეთ და შევეცდებით, ეს საქმე სამხრეთ აფრიკაში წარმატებული ბურთაობით გამოვასწოროთ. ძალიან გამიხარდება, თუ თასი აფრიკის კონტინენტს არ დატოვებს. ცხადია, მე მომხრე ვარ კამერუნის ჩემპიონობისა, მაგრამ თუ სხვა აფრიკული გუნდი გაიმარჯვებს, მაინც კმაყოფილი ვიქნები — ხომ არსებობენ ძლიერი აფრიკული ნაკრებები, კოტ დივუარის, განას ან ნიგერიის მსგავსნი. ოქროს მედლების მოგება ამ გუნდებსაც შეუძლიათ.

— თქვენი „ბარსელონა" ბოლო პერიოდში პრიმერადივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაზე გარკვეულ სირთულეებს წააწყდა. გუნდში არსებული დღევანდელი სიტუაციის შესახებ რას გვეტყვით?

— ამ გუნდში ექსტრაორდინარული ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც ბურთთან ურთიერთობის საოცარ ნიჭს ფლობენ. ყველამ, ვინც თავდასხმაში ჩემი ადგილი დაიკავა, შესანიშნავად ითამაშა. დარწმუნებული ვარ, როცა გადამწყვეტი დრო მოვა, ყველანი კარგ ფორმაში ვიქნებით. მაშინ გამოჩნდება, რეალურად ვის რა შეუძლია.

— იმ დროს, რა თქმა უნდა, სამუელ ეტოო ჯანმრთელად იქნება...

— სიგიჟემდე მენატრება ფეხბურთი და ერთი სული მაქვს, სანამ ჩემი თანაგუნდელების დასახმარებლად გავალ მოედანზე. საშინლად ძნელია, როცა ტრიბუნაზე ან ტელევიზორთან ზიხარ მაშინ, როცა დანარჩენები მოედანზე იბრძვიან...

## ფეხბურთის რუკასთან

**ფრანგულმა** „ნიცამ" ვეტერანი ფორვარდი ლილიან ლასლანდი სეზონის ბოლომდე ითხოვა „ბორდოდან". 35 წლის ფეხბურთელმა, ვისაც ეროვნული ნაკრების მაისურა შვიდჯერ მოურგია, ოჯახური მიზეზების გამო დატოვა „ბორდო" და „ნიცას" მიაშურა", სადაც 2003-2004 წლებშიც უთამაშია.

**დანიური** „ბრონდბიუს" მწვრთნელმა რენე მულენსტენმა თანამდებობა დატოვა ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ. მულენსტენმა, რომელიც ადრე „მანჩესტერ იუნაიტედის" სათადარიგო შემადგენლობას ავარჯიშებდა, ოჯახთან ერთად ინგლისში დაბრუნება ისურვა. რენე მულენსტენი ტომ კოელერტმა შეცვალა რომელმაც 2009 წლამდე გააფორმა კონტრაქტი.

**ფრანგულმა** „მარსელმა" ნახევარმცველი სალიმ არაჩე შეიძინა. 24 წლის შემტევმა ნახევარმცველმა კლუბთან სამწლიანახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. სალიმ არაჩე მეორე დივიზიონის „სტრასბურიდან" გადაიბირეს და „მარსელის" პირველი შენაძენია ზამთრის სატრანსფერო პერიოდში.

**ინგლისური** პრემიერლიგის აუტსაიდერმა „უოტფორდმა" „როტერჰემიდან" ორი ფეხბურთელი იყიდა — უილ ჰოსკინსი და ლი უილიამსონი. ორივე მოთამაშის ტრანსფერი დაახლოებით ორი მილიონი დოლარი დაჯდა.

**ბრაზილიელი** სავიო „სოსიედადში" გადავიდა სეზონის ბოლომდე. „რეალის" ყოფილი ნახევარმცველი წინა სეზონის ბოლოს დარუნდა სამშობლოში და „ფლამენგოში" ითამაშა. იგი „ბორდოშიც" ირიცხებოდა და ფრანგული პასპორტი აქვს.

**გერმანული** „გლადბახის" ფორვარდი ოლივერ ნოივილი თებერვლამდე ვეღარ ითამაშებს. ამის შესახებ კლუბმა განაცხადა. 35 წლის თავდამსხმელი ოპერაციას გაიკეთებს საზარდულზე, რომელიც მთელი პირველი წრის განმავლობაში აწუხებდა.

**შოტლანდიური** „რეინჯერსის" განცხადებით, პრემიერლიგის „უიგანის" მცველი ენდი ვებსტერი სეზონის ბოლომდე გლაზგოურ კლუბში ითამაშებს. 24 წლის მცველი გასულ ზაფხულს გადავიდა „ჰართსიდან" „უიგანში", ახლა კი შოტლანდიის პრემიერლიგაში ბრუნდება.

**ესპანური** „ვალენსიას" იტალიელი ფორვარდი ფრანჩესკო ტავანო ექვსი თვით „რომას" ფეხბურთელი გახდა. ეს ამბავი იტალიურმა კლუბმა დაადასტურა. 27 წლის მეგოლემ ტრანსფერი მას შემდეგ დაასრულა, რაც ტრიგორიის ბაზაზე იგი თანაგუნდელებს წარუდგინეს.

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისურმა** „ვესტ ჰემმა" „ფულემიდან" პორტუგალიელი თავდამსხმელი ლუიშ ბოა მორტე შეიძინა. 29 წლის ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ 2010 წლამდე გააფორმა. „ვესტ ჰემი" პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის და მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ გუნდის გაძლიერება დაიწყო.

**იტალიური** „რომას" ფორვარდი ვინჩენცო მონტელა ლონდონის „ფულემში" გადაბარგდა და პრემიერლიგაში სეზონის ბოლომდე ითამაშებს. მონტელას კარიერა 1990 წელს „ემპოლიში" დაიწყო, საიდანაც ექვსი წლის შემდეგ „ჯენოაში" გადაბარგდა. მერე „სამპდორიაში" აღმოჩნდა, საიდანაც „რომამ" შეიძინა.

**პორტუგალიის** ჩემპიონმა „პორტუმ" „რივერ პლეიტიდან" არგენტინელი მცველი ლუკას მარეკა იყიდა. 23 წლის ფეხბურთელს, რომელსაც იტალიური პასპორტიც აქვს, „პორტუმ" სამწლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა.

**იტალიური** „კალიარის" ნახევარმცველი მაურო ესპოზიტო ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო გუნდს სეზონის ბოლომდე დააკლდება. 27 წლის ფეხბურთელმა, რომელიც შვიდჯერ მიიწვიეს ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, ტრავმა ვარჯიშზე მიიღო და „კალიარის" მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

**სლოვენიის** ნაკრების მწვრთნელად მატია კეკი დანიშნეს. მან მოხსნილი ბრანკო ობლაკი შეცვალა. ამის შესახებ სლოვენიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა. 45 წლის კეკი მანამდე ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრებს თავკაცობდა, უფრო ადრე კი „მარიბორის" მწვრთნელი იყო, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატი ორჯერ (2002, 2003) მოიგეს.

**საფრანგეთის** ნაკრების ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს „მარსელის" დატოვებას აპირებს. მას ინგლისურ პრემიერლიგაში ან ესპანურ პრიმერადივიზიონში ურჩევნია კარიერის გაგრძელება. „მე ადრეც ვთქვი, რომ „მარსელში" სეზონის დასრულებამდე დავრჩები და კლუბმა ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოიპოვოს, მერე კი ვნახოთ, რა მოხდება. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბობოლა ევროპული კლუბები დაინტერესდნენ ჩემი გადაბირებით და ისინი კვლავაც ხშირად მიკავშირდებიან. ძალიან მომწონს პრემიერლიგა და პრიმერადივიზიონი. თუკი „მარსელი" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება, მაშინ კონტრაქტის გადახედვას მოვითხოვ". „მარსელი" ამჟამად მეექვსე ადგილზეა და 20 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ლიონს", თუმცა მხოლოდ ხუთი ქულა აშორებს მეორეადგილოსან „ლანსს".

# კანის დასასრული



**ოლივერ კანმა** განაცხადა, რომ დიდ ფეხბურთს 2008 წლის ივნისში, მიუნხენის „ბაიერნთან" საკონტრაქტო ვადის დამთავრების შემდეგ დაემშვიდობება.

„მაშინ უკვე 39 წლის ვიქნები, ეს კი ის ასაკია, როცა მეკარემ ხელთათმანების ლურსმანზე ჩამოკიდებაზე და ახალ სფეროში საქმიანობაზე უნდა იფიქროს" — თქვა ლეგენდარულმა გოლკიპერმა „ბილდის" ჟურნალისტებთან. გერმანული მედიის ცნობით, კანი დიდ ფეხბურთს მართლაც 2008-ში დატოვებს, ოღონდ გაისად ოლივერის ული ჰიონესის ადგილზე დაუყოვნებლივ დანიშვნას (ჰიონესი „ბაიერნის" გენერალური დირექტორია) არ ვარაუდობენ.

საპენსიო განცხადებების მიუხედავად ტევტონი მეკარე ფრიად ყოჩაღადაა: „ყველაფერს გააჩნია თავისი დასაწყისი და დასასრული. მეც ადრე თუ გვიან კარიერის დასრულება მომიწევს, თუმცა დასვენებაზე გაისად ვიფიქრებ, დღევანდელი ჩემი სურვილი კი „ბაიერნის" გერმანიაში ჩემპიონობაა. თანაც ძალიან გამიხარდება ჩემპიონთა ლიგაზეც თუ გავიმარჯვებთ".

ადრე კანმა განაცხადა, დიდ სპორტში მანამ დავრჩები, სანამ როგორც მეკარეს, ელიტას არ ჩამომაცილებენო. 2001 წელს ოლიმ გვარიანად ივაჟკაცა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ვალენსიასთან" პენალტების სერიაში სამი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოხსნა და ბავარიელებს ოქროს მედლების მოგებაში დაეხმარა.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი კანის გერმანიამ ბრაზილიასთან წააგო. მიუხედავად ამისა, სახელგანთქმული გოლკიპერი ფიფამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

ბოლო პერიოდში კი „ნაციონალმანშაფტის" მისადგომებს ოლის ნაცვლად სხვა იცავს — იენს ლემანმა კანის დიდება დაჩრდილა და გერმანიის ნაკრების კარიც არსენალელს ჩააბარებს. თან ოლივერ კანი ბუნდესლიგის მეკარეთა ვერსიით, საპრიზო ადგილებს ასცდა — მათ გამოკითხვაში, თუ ვინაა ბუნდესლიგის საუკეთესო გოლკიპერი, კანმა ოდენ მეხუთე ადგილი დაიკავა.

„ვინ რას ამბობს, ნაკლებად მაინტერესებს. არც ისე ცუდ ფორმაში ვარ და დაჩოქებას არც შემდეგში ვაპირებ — ფეხბურთს ღირსეულად უნდა დავემშვიდობო" — ჯიქურ ამბობს გერმანელი მეკარე.

**ლადო ხომერიკი**

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XVII ტური

ატლეტიკო — ხიმნასტიკი 0:0; სოსიედადი — ოსასუნა 2:1; სარაგოსა — სევილია 2:1; ესპანიოლი — უელვა 0:1; ხეტაფე — ბარსელონა 1:1; ლევანტე — რასინგი 2:0; მალიორკა — ბილბაო 1:3; ბეტისი — სელტა 1:0; დეპორტივო — რეალი 2:0; ვილიარეალი — ვალენსია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 17 | 12 | 1 | 4 | 36:17 | 37 |
| ბარსელონა | 16 | 10 | 5 | 1 | 35:13 | 35 |
| რეალი | 17 | 10 | 2 | 5 | 26:16 | 32 |
| სარაგოსა | 17 | 9 | 3 | 5 | 30:19 | 30 |
| ვალენსია | 17 | 9 | 3 | 5 | 24:15 | 30 |
| ატლეტიკო | 17 | 8 | 5 | 4 | 21:12 | 29 |
| უელვა | 17 | 9 | 1 | 7 | 27:24 | 28 |
| ოსასუნა | 17 | 7 | 2 | 8 | 22:22 | 23 |
| ხეტაფე | 17 | 6 | 5 | 6 | 12:12 | 23 |
| ესპანიოლი | 17 | 5 | 7 | 5 | 15:17 | 22 |
| ვილიარეალი | 17 | 6 | 4 | 7 | 17:24 | 22 |
| სელტა | 17 | 5 | 6 | 6 | 20:22 | 21 |
| რასინგი | 17 | 5 | 6 | 6 | 16:22 | 21 |
| დეპორტივო | 17 | 5 | 5 | 7 | 13:23 | 20 |
| ბილბაო | 17 | 4 | 6 | 7 | 21:27 | 18 |
| ლევანტე | 17 | 4 | 6 | 7 | 16:23 | 18 |
| მალიორკა | 17 | 4 | 5 | 8 | 14:25 | 17 |
| ბეტისი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:19 | 16 |
| სოსიედადი | 17 | 2 | 7 | 8 | 12:23 | 13 |
| ხიმნასტიკი | 17 | 2 | 3 | 12 | 15:33 | 9 |

### სეგუნდადივიზიონი. XIX ტური

ლორკა — ერკულესი 0:1; მალაგა — ალმერია 2:1; ვესინდარიო — ტენერიფე 2:1; ხერესი — ალბასეტე 0:1; ვალიადოლიდი — ალავესი 1:0; სიუდად მურსია — სპორტინგი 3:1; ელჩე — კადისი 1:1; პოლი ეხიდო — ნუმანსია 0:0; პონფერადინა — კასტელიონი 1:0; სალამანკა — ლას პალმასი 2:2; რეალი B — მურსია 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 19 | 11 | 5 | 3 | 30:15 | 38 |
| მურსია | 19 | 9 | 7 | 3 | 28:20 | 34 |
| სალამანკა | 19 | 9 | 4 | 6 | 31:22 | 31 |
| ალმერია | 19 | 9 | 4 | 6 | 30:21 | 31 |
| სპორტინგი | 19 | 10 | 1 | 8 | 26:20 | 31 |
| ხერესი | 19 | 8 | 5 | 6 | 23:17 | 29 |
| ერკულესი | 19 | 8 | 4 | 7 | 22:18 | 28 |
| სიუდად მურსია | 19 | 8 | 3 | 8 | 23:21 | 27 |
| ნუმანსია | 19 | 7 | 6 | 6 | 22:20 | 27 |
| პოლი ეხიდო | 19 | 7 | 6 | 6 | 22:20 | 27 |
| მალაგა | 19 | 7 | 5 | 7 | 25:24 | 26 |
| კადისი | 19 | 6 | 8 | 5 | 22:21 | 26 |
| ალბასეტე | 19 | 7 | 5 | 7 | 23:23 | 26 |
| კასტელიონი | 19 | 7 | 4 | 8 | 19:21 | 25 |
| რეალი B | 19 | 7 | 4 | 8 | 24:32 | 25 |
| ტენერიფე | 19 | 7 | 3 | 9 | 17:23 | 24 |
| ალავესი | 19 | 6 | 6 | 7 | 17:25 | 24 |
| ლას პალმასი | 19 | 5 | 7 | 7 | 23:26 | 22 |
| პონფერადინა | 19 | 5 | 6 | 8 | 17:20 | 21 |
| ელჩე | 19 | 4 | 7 | 8 | 20:26 | 19 |
| ლორკა | 19 | 4 | 6 | 9 | 15:25 | 18 |
| ვესინდარიო | 19 | 4 | 2 | 13 | 17:36 | 14 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXI ტური

შეფილდი — არსენალი 1:0; ბოლტონი — პორტსმუთი 3:2; ვესტ ჰემი — მანჩესტერ სიტი 0:1; მანჩესტერი — რედინგი 3:2; ჩელსი — ფულემი 2:2; ბლექბერნი — მიდლსბრო 2:1; ტოტენჰემი — ლივერპული 0:1; ევერტონი — ნიუკასლი 3:0; ჩარლტონი — ასტონ ვილა 2:1. უოტფორდი — უიგანი გადაიდო

### პრემიერლიგა. XXII ტური

ასტონ ვილა — ჩელსი 0:0; არსენალი — ჩარლტონი 4:0; ნიუკასლი — მანჩესტერი 2:2; რედინგი — ვესტ ჰემი 6:0; მიდლსბრო — შეფილდი 3:1; ფულემი — უოტფორდი 0:0; უიგანი — ბლექბერნი 0:3; პორტსმუთი — ტოტენჰემი 1:1; მანჩესტერ სიტი — ევერტონი 2:1; ლივერპული — ბოლტონი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 22 | 17 | 3 | 2 | 49:15 | 54 |
| ჩელსი | 22 | 14 | 6 | 2 | 37:17 | 48 |
| ლივერპული | 22 | 12 | 4 | 6 | 32:16 | 40 |
| არსენალი | 22 | 11 | 6 | 5 | 41:19 | 39 |
| ბოლტონი | 22 | 12 | 3 | 7 | 27:21 | 39 |
| პორტსმუთი | 22 | 10 | 6 | 6 | 33:22 | 36 |
| ტოტენჰემი | 22 | 9 | 5 | 8 | 26:28 | 32 |
| ევერტონი | 22 | 8 | 7 | 7 | 28:22 | 31 |
| რედინგი | 22 | 9 | 3 | 10 | 30:30 | 30 |
| სიტი | 22 | 8 | 5 | 9 | 19:25 | 29 |
| ბლექბერნი | 21 | 8 | 4 | 9 | 24:29 | 28 |
| ფულემი | 22 | 6 | 9 | 7 | 22:32 | 27 |
| ასტონ ვილა | 22 | 5 | 11 | 6 | 23:25 | 26 |
| ნიუკასლი | 22 | 7 | 5 | 10 | 23:28 | 26 |
| მიდლსბრო | 22 | 6 | 6 | 10 | 21:27 | 24 |
| შეფილდი | 22 | 6 | 5 | 11 | 17:29 | 23 |
| უიგანი | 21 | 6 | 4 | 11 | 23:32 | 22 |
| ვესტ ჰემი | 22 | 5 | 3 | 14 | 12:33 | 18 |
| ჩარლტონი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:40 | 16 |
| უოტფორდი | 20 | 1 | 9 | 10 | 12:26 | 12 |

### ჩემპიონატი. XXVI ტური

ბირმინგემი — ლუთონი 2:2; ვესტ ბრომვიჩი — იფსვიჩი 2:0; საუთჰემპტონი — ლესტერი 2:0; დერბი — პლიმუთი 1:0; კარდიფი — კრ. პალასი 0:0; სტოკი — ლიდსი 3:1; ჰალი — ბარნსლი 2:0; კოლჩესტერი — ვულვზი 2:1; ბარნსლი — უენსდი 0:3; სანდერლენდი — პრესტონი 0:1; ნორვიჩი — ქუინზ პარკი 1:0; ქოვენთრი — საუთენდი 1:1

### ჩემპიონატი. XXVII ტური

უენსდი — ჰალი 1:2; პლიმუთი — საუთჰემპტონი 1:1; ლიდსი — ქოვენთრი 2:1; საუთენდი — ვესტ ბრომვიჩი 3:1; პრესტონი — დერბი 1:2; ლესტერი — სანდერლენდი 0:2; კრ. პალასი — ნორვიჩი 3:1; ვულვზი — ნორთჰემპტონი 2:0; ქუინზ პარკი — კოლჩესტერი 1:0; ლუთონი — კარდიფი 0:0; იფსვიჩი — ბირმინგემი 1:0. ბარნსლი — სტოკი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 27 | 16 | 5 | 6 | 46:26 | 53 |
| დერბი | 27 | 15 | 5 | 7 | 36:28 | 50 |
| პრესტონი | 27 | 13 | 8 | 6 | 40:28 | 47 |
| საუთჰემპტონი | 27 | 12 | 9 | 6 | 44:32 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 7 | 8 | 48:31 | 43 |
| კოლჩესტერი | 27 | 13 | 4 | 10 | 45:30 | 43 |
| სტოკი | 26 | 12 | 7 | 7 | 35:21 | 43 |
| კარდიფი | 27 | 11 | 10 | 6 | 36:28 | 43 |
| ვულვზი | 27 | 12 | 6 | 9 | 28:29 | 42 |
| სანდერლენდი | 27 | 12 | 4 | 11 | 36:32 | 40 |
| უენსდი | 27 | 11 | 7 | 9 | 38:37 | 40 |
| ბარნლი | 26 | 10 | 7 | 9 | 32:28 | 37 |
| პლიმუთი | 27 | 8 | 12 | 7 | 33:34 | 36 |
| იფსვიჩი | 27 | 10 | 5 | 12 | 37:37 | 35 |
| კრ. პალასი | 27 | 9 | 7 | 11 | 31:32 | 34 |
| ქოვენთრი | 27 | 10 | 4 | 13 | 25:31 | 34 |
| ნორვიჩი | 27 | 9 | 7 | 11 | 34:42 | 34 |
| ლესტერი | 27 | 8 | 8 | 11 | 26:33 | 32 |
| ლუთონი | 27 | 8 | 7 | 12 | 35:45 | 31 |
| ქუინზ პარკი | 27 | 8 | 6 | 13 | 34:41 | 30 |
| ჰალი | 27 | 7 | 6 | 14 | 27:38 | 27 |
| ბარნსლი | 27 | 7 | 5 | 15 | 29:47 | 26 |
| ლიდსი | 27 | 7 | 3 | 17 | 27:49 | 24 |
| საუთენდი | 27 | 4 | 9 | 14 | 22:45 | 21 |

### ასოციაციის თასი. ოცდამეთორმეტედფინალი

როვერსი — პრეფორდი 1:0; სტოკი — მილუოლი 2:0; ბლეკპული — ალდერშოტი 4:2; პორტსმუთი — უიგანი 2:1; დერბი — რექსემი 3:1; პრესტონი — სანდერლენდი 1:0; კრ. პალასი — სუინდონი 2:1; ქუინზ პარკი — ლუთონი 2:2; ჰალი — მიდლსბრო 1:1; ჩელსი — მაკლსფილდი 6:1; ჩესტერი — იფსვიჩი 0:0; ნოტინგემი — ჩარლტონი 2:0; შეფილდი — სუონსი 0:3; ვესტ ჰემი — ბრაიტონი 3:0; ვულვზი — ოლდემი 2:2; ტემუორთი — ნორვიჩი 1:4; ლივერპული — არსენალი 1:3; ბრისტოლი — ქოვენთრი 3:3; საუთენდი — ბარნსლი 1:1; ბირმინგემი — ნიუკასლი 2:2; დონკასტერი — ბოლტონი 0:4; ლესტერი — ფულემი 2:2; უოტფორდი — სტოკპორტი 4:1; პიტერბრო — პლიმუთი 1:1; ვესტ ბრომვიჩი — ლიდსი 3:1; ტორკი — საუთჰემპტონი 0:2; უენსდი — მანჩესტერ სიტი 1:1; მანჩესტერი — ასტონ ვილა 2:1; კარდიფი — ტოტენჰემი 0:0; ევერტონი — ბლექბერნი 1:4. ბარნეტი — კოლჩესტერი და რედინგი — ბარნსლი დღეს გაიმართება

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXII ტური

რეინჯერსი — სენტ მირენი 1:1; ჰიბერნიანი — დანფერმლაინი 2:0; კილმარნოკი — ჰართსი 0:0; დანდი იუნ. — აბერდინი 3:1; მოზერუელი — სელტიკი 1:1; ფოლკირკი — ინვერნესი 3:1

### პრემიერლიგა. XXIII ტური

დანფერმლაინი — ჰართსი 0:1; ჰიბერნიანი — აბერდინი 0:0; სელტიკი — კილმარნოკი 2:0; მოზერუელი — რეინჯერსი 0:1; ინვერნესი — სენტ მირენი 2:1; დანდი იუნ. — ფოლკირკი 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 23 | 17 | 5 | 1 | 43:17 | 56 |
| რეინჯერსი | 23 | 11 | 6 | 6 | 35:22 | 39 |
| აბერდინი | 23 | 11 | 5 | 7 | 30:21 | 38 |
| ჰართსი | 23 | 10 | 7 | 6 | 32:22 | 37 |
| ჰიბერნიანი | 23 | 9 | 6 | 8 | 42:28 | 33 |
| ფოლკირკი | 23 | 9 | 3 | 11 | 32:30 | 30 |
| კილმარნოკი | 23 | 8 | 6 | 9 | 31:38 | 30 |
| ინვერნესი | 23 | 6 | 9 | 8 | 25:32 | 27 |
| დანდი იუნ. | 23 | 7 | 6 | 10 | 28:42 | 27 |
| მოზერუელი | 23 | 7 | 4 | 12 | 29:39 | 25 |
| სენტ მირენი | 23 | 5 | 8 | 10 | 21:32 | 23 |
| დანფერმლაინი | 23 | 3 | 5 | 15 | 13:38 | 14 |

### ასოციაციის თასი. მეთექვსმეტედფინალი

სელტიკი — დამბარტონი 4:0; დანდი — ქუინი 1:1; კლაიდი — გრეტნა 0:3; კოუდენბითი — ბრეჩინი 1:1; სენტ ჯონსტონი — ეარი 0:0; მორტონი — კილმარნოკი 3:1; სტირლინგი — ინვერნესი 1:6; სტრანრარი — ჰართსი 0:4; ბერვიკი — ფოლკირკი 0:2; როსი — პარტიკი 0:1; ერდრი — მოზერუელი 0:1; ჰამილტონი — ლივინგსტონი 2:4; დევერონველი — ელგინი 5:4; დანფერმლაინი — რეინჯერსი 3:2. აბერდინი — ჰიბერნიანი ხვალ გაიმართება, დანდი იუნ. — სენტ მირენი 16 იანვარს

## საფრანგეთი

### თასის 1/32 ფინალი

კრეტეი — ნიცა 1:2დ.დ.(1:1); პონტივი — ვიტრეჩე 1:0დ.დ.(0:0); რენი — რომორანტინი 1:3დ.დ.(1:1); მონპელიე — სენ ლუ 4:1; როდეზი — ანგულემი 3:1დ.დ.(1:1); ბორდო — ბასტია 2:0; ნანტი — გენგამი 1:0; კალე — ლორიანი 2:0; შერუ — სედანი 0:1; კამბრაი — მარსელი 1:4დ.დ.(1:1); აიაჩო — სტრასბური 1:2; ორლეანი — მულინი 2:1დ.დ.(1:1); ვანი — კონკორნო 3:2დ.დ.(2:2); ამიენი — გრენობლი 3:0; ოსერი — ნიორი 2:2დ.დ.(პენ.4:3, 2:2); სენტ ეტიენი — სოშო 1:3; მეცი — ლილი 0:2; პლუვიგი — ლე მანი 0:3; ლიონ დუშერი — სანუა 1:0; გენიონი — ლუანი 3:1; შატელერო — ტულუზი 1:1დ.დ.(პენ.4:5, 1:1); კევილი — მონაკო 0:2; ნანსი — ლანსი 3:3დ.დ.(პენ.2:4, 2:2); ვალანსიენი — კანი 2:1; ლიბურნი — ტრუა 4:2; ფიჟე — მონტსო 1:2; ბაიონი — ლიონი 1:2; პსჟ — ნიმი 3:0; ფურვილი — აშნევილი 1:0; პალასო — ლანსი 0:4; კლერმონი — დიუნკერკი 3:1; ბუსგილომი — შატობრიანი 0:1

## პორტუგალია

### თასის პირველი ეტაპი

მადეირა — სპორტინგი 1:3; ბენფიკა — ბაირო 5:0; აკადემიკა — სეტუბალი 2:1; ბრაგა — პორტიმონენსე 5:2; პორტუ — ატლეტიკო 0:1; პენალვა — მარია და ფონტე 2:1; ნავალი — კაზა პია 4:0; ავეში — ოლივეირენსე 1:0; კოვილია — მაფრა 0:1; კამაჩა — ოლიალენსე 1:0; ევორა — პინალნოვენსე 1:4; ბეირა მარი — სანტანა 6:0; ამადორა — ფეირენსე 2:1დ.დ.(1:1); გონდომარი — რიო მაიორი 3:0; ეშტორილი — სანტა კლარა 1:1დ.დ.(პენ.4:5, 1:1); ნასიონალი — ვიზელა 3:0; ლულეტანუ — ესპინიუ 1:0; პენაფიელი — მარიტიმუ 1:0; ბრაგანსა — მარკუ 4:2; ფეირერა — ლეირია 1:2; ვალეკამბრენსე — ვარზიმი 2:4; მაია — ლაგოა 2:0; პარედესი — ბელენენსეში 2:4დ.დ.(2:2); სერტანენსე — ლუზიტანია 1:0; პონტასოლენსე — მოსკავიდე 2:1; ლეიშოეში — ფამალიკაუ 2:1დ.დ.(1:1); სანტიაგუ — ოდიველაში 0:1; ბოავიშტა — კავალეიროში 3:1

## იტალია

### ბერლუსკონის თასი

**მილანი 3:2 იუვენტუსი**

1:0 ინძაგი (29), 1:1 ნედვედი (40), 1:2 დელ პიერო (67), 2:2 ზეედორფი (68), 3:2 აუბამეიანგი (86)

მილანი: კალაჩი (ფიორი 46), კაფუ (შიმიჩი 46), ბონერა, მალდინი (დარმიანი 68), იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ბროკი (აუბამეიანგი 82), ზეედორფი, ინძაგი (ოლივეირა 78), ჯილარდინო (გურკუფი 46)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

იუვენტუსი: ბუფონი (მირანტე 81), ბირინდელი, ბუმსონგი (ძებინა 43), კიელინი (კოვაჩი 16), ბალძარეტი, პალადინო (ბოჟინოვი 68), კ. ძანეტი (დე ჩელიე 46), პარო, ნედვედი, დელ პიერო (ვენიტუჩი 83), ტრეზეგე (ზალაიეტა 46)

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გაფრთხილება: კოვაჩი

მსაჯი: როკი

39 000 მაყურებელი

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XVI ტური

ოფი — ატრომიტოსი 4:1; პაოკ — აეკ 2:0; კალამარია — კერკირა 1:0; იონიკოსი — ერგოტელისი 1:3; პანიონიოსი — ირაკლისი 2:1; ქსანთი — ოლიმპიაკოსი 0:0; არისი — ლარისა 1:1; პანათინაიკოსი — ეგალეო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 16 | 13 | 1 | 2 | 32:8 | 40 |
| აეკ | 16 | 10 | 4 | 2 | 31:10 | 34 |
| პანათინაიკოსი | 16 | 11 | 1 | 4 | 25:15 | 34 |
| პაოკ | 16 | 7 | 4 | 5 | 17:13 | 25 |
| ოფი | 16 | 6 | 5 | 5 | 19:17 | 23 |
| ქსანთი | 16 | 5 | 5 | 6 | 11:10 | 20 |
| არისი | 16 | 3 | 10 | 3 | 14:15 | 19 |
| ატრომიტოსი | 16 | 4 | 7 | 5 | 19:21 | 19 |
| კერკირა | 16 | 5 | 4 | 7 | 13:16 | 19 |
| ეგალეო | 16 | 5 | 4 | 7 | 15:19 | 19 |
| პანიონიოსი | 16 | 4 | 7 | 5 | 12:19 | 19 |
| კალამარია | 16 | 4 | 6 | 6 | 13:18 | 18 |
| ლარისა | 16 | 4 | 5 | 7 | 13:23 | 17 |
| ერგოტელისი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:18 | 16 |
| ირაკლისი | 16 | 4 | 4 | 8 | 15:22 | 16 |
| იონიკოსი | 16 | 2 | 3 | 11 | 10:29 | 7 |

*„იონიკოსს" დაკლებული აქვს 2 ქულა*

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XX ტური

ექსელსიორი — ფეიენოორდი 1:3; ნაიმეგენი — აიაქსი 2:2; პსვ — დენ ჰააგი 2:1; ჰერენვენი — უტრეხტი 0:0; ვალვაიკი — გრონინგენი 0:2; სპარტა — ტვენტე 3:0; ალკმაარი — როდა 2:2; ჰერაკლესი — ვიტესი 2:2. ბრედა — ტილბურგი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 20 | 17 | 2 | 1 | 53:8 | 53 |
| აიაქსი | 20 | 13 | 3 | 4 | 47:21 | 42 |
| ალკმაარი | 20 | 12 | 5 | 3 | 54:21 | 41 |
| ფეიენოორდი | 20 | 12 | 3 | 5 | 41:36 | 39 |
| ტვენტე | 20 | 11 | 5 | 4 | 43:23 | 38 |
| ჰერენვენი | 20 | 10 | 3 | 7 | 34:25 | 33 |
| გრონინგენი | 20 | 9 | 3 | 8 | 30:36 | 30 |
| ვიტესი | 20 | 8 | 2 | 10 | 36:34 | 26 |
| უტრეხტი | 20 | 7 | 5 | 8 | 26:30 | 26 |
| ნაიმეგენი | 20 | 7 | 5 | 8 | 21:25 | 26 |
| როდა | 20 | 7 | 5 | 8 | 23:28 | 26 |
| ბრედა | 19 | 7 | 5 | 7 | 22:29 | 26 |
| სპარტა | 20 | 7 | 1 | 12 | 24:39 | 22 |
| ჰერაკლესი | 20 | 4 | 5 | 11 | 17:37 | 17 |
| ექსელსიორი | 20 | 4 | 4 | 12 | 27:41 | 16 |
| ტილბურგი | 19 | 5 | 1 | 13 | 20:46 | 16 |
| დენ ჰააგი | 20 | 3 | 4 | 13 | 22:37 | 13 |
| ვალვაიკი | 20 | 2 | 7 | 11 | 16:40 | 13 |

# წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:45 | 35 | უოტფორდი-ლივერპული | 7.00 | 4.00 | 1.42 | 2.54 | 1.18 | 1.04 |
| 17:45 | 36 | ევერტონი-რედინგი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 19:00 | 37 | ბოლტონი-სიტი | 1.80 | 3.30 | 4.60 | 1.16 | 1.29 | 1.92 |
| 19:00 | 38 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2.45 | 3.20 | 2.75 | 1.38 | 1.29 | 1.47 |
| 19:00 | 39 | ჩელსი-უიგანი | 1.20 | 5.70 | 15.00 | 1.00 | 1.11 | 4.13 |
| 19:00 | 40 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.20 | 5.30 | 14.00 | 1.00 | 1.10 | 3.84 |
| 19:00 | 41 | შეფილდი-პორტსმუთი | 2.50 | 3.20 | 2.70 | 1.40 | 1.29 | 1.46 |
| 19:00 | 42 | ვესტ ჰემი-ფულემი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 20:00 | 43 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| 21:15 | 44 | ბლექბერნი-არსენალი | 4.50 | 3.50 | 1.70 | 1.96 | 1.23 | 1.14 |

### ინგლისი. II ლიგა

**9 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 544 | გრიმსბი-ჩესტერი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |

### იტალია. სერია A

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 333 | ემპოლი-პარმა | 2.10 | 2.90 | 3.80 | 1.21 | 1.35 | 1.64 |
| 23:30 | 334 | ტორინო-ინტერი | 6.00 | 3.30 | 1.60 | 2.12 | 1.26 | 1.07 |

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 335 | ატალანტა-ლივორნო | 2.00 | 2.90 | 4.30 | 1.18 | 1.36 | 1.73 |
| 18:00 | 336 | კალიარი-ასკოლი | 1.60 | 3.50 | 6.00 | 1.09 | 1.26 | 2.21 |
| 18:00 | 337 | კიევო-კატანია | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 18:00 | 338 | მესინა-რომა | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| 18:00 | 339 | მილანი-რეჯინა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 18:00 | 340 | პალერმო-უდინეზე | 1.60 | 3.30 | 6.00 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 18:00 | 341 | სამპდორია-ფიორენტინა | 2.85 | 2.90 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| 23:30 | 342 | ლაციო-სიენა | 1.65 | 3.10 | 6.00 | 1.07 | 1.29 | 2.04 |

### იტალია. სერია B

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 351 | სპეცია-პიაჩენცა | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 344 | ბარი-ალბინოლეფე | 2.10 | 2.60 | 4.30 | 1.16 | 1.41 | 1.62 |
| 19:00 | 345 | ბოლონია-ტრევიზო | 1.60 | 3.10 | 6.80 | 1.05 | 1.29 | 2.12 |
| 19:00 | 346 | ჩეზენა-ლეჩე | 1.90 | 2.90 | 4.30 | 1.14 | 1.31 | 1.73 |
| 19:00 | 347 | ფროზინონე-კროტონე | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 19:00 | 348 | მანტოვა-იუვენტუსი | 7.50 | 3.30 | 1.50 | 2.29 | 1.25 | 1.03 |
| 19:00 | 349 | ნაპოლი-ვერონა | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 19:00 | 350 | პესკარა-ჯენოა | 4.80 | 2.70 | 1.85 | 1.72 | 1.33 | 1.09 |
| 19:00 | 352 | ტრიესტინა-მოდენა | 2.00 | 2.80 | 4.20 | 1.16 | 1.35 | 1.67 |
| 19:00 | 353 | ვიჩენცა-ბრეშა | 2.50 | 2.70 | 3.00 | 1.29 | 1.36 | 1.42 |

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 343 | არეცო-რიმინი | 3.40 | 2.90 | 2.20 | 1.56 | 1.33 | 1.25 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 414 | ოსერი-სოშო | 2.10 | 2.90 | 3.60 | 1.21 | 1.32 | 1.60 |
| 23:00 | 415 | ბორდო-ლორიანი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:00 | 416 | ლე მანი-ტრუა | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| 20:10 | 417 | ლანსი-ლილი | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 23:00 | 418 | ნანტი-ნიცა | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 23:00 | 419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.65 | 3.20 | 5.30 | 1.08 | 1.25 | 1.99 |
| 23:00 | 421 | სედანი-ნანსი | 2.75 | 2.90 | 2.65 | 1.41 | 1.34 | 1.38 |
| 23:00 | 423 | ტულუზი-ლიონი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 420 | რენი-მარსელი | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 21:00 | 422 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |

### ინგლისი. FA Cup

**9 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 199 | ბარნეტი-კოლჩესტერი | 3.70 | 3.20 | 1.90 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 23:45 | 200 | რედინგი-ბარნლი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |

### შოტლანდია. თასი

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 198 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |

### იტალია. თასი

**9 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 197 | ემპოლი-ინტერი | 6.20 | 3.10 | 1.60 | 2.06 | 1.27 | 1.05 |

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 545 | სამპდორია-კიევო | 1.80 | 2.90 | 5.00 | 1.11 | 1.32 | 1.83 |
| 23:30 | 546 | რომა-პარმა | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |

### ინგლისი. Carling Cup

**9 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 541 | ლივერპული-არსენალი | 1.80 | 3.50 | 4.00 | 1.18 | 1.24 | 1.86 |

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 542 | უიკომბი-ჩელსი | 12.00 | 5.50 | 1.20 | 3.77 | 1.09 | 1.00 |

### ინგლისი. LDV Vans Trophy

**9 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 547 | შრიუსბერი-როვერსი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 548 | დონკასტერი-დარლინგტონი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:45 | 549 | ბრისტოლი-ბრაიტონი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 550 | ჩესტერფილდი-ქრიუ | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |

### ესპანეთი. თასი

**9 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 189 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 190 | მალიორკა-დეპორტივო | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 23:00 | 191 | მალაგა-სარაგოსა | 3.60 | 3.20 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 23:00 | 192 | ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 23:00 | 193 | რაიო ვალეკანო-სევილია | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 23:45 | 194 | ალავესი-ბარსელონა | 5.80 | 3.50 | 1.55 | 2.18 | 1.22 | 1.07 |
| 23:45 | 195 | ხეტაფე-ვალენსია | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |

**11 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 196 | ბეტისი-რეალი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |

### ინგლისი FA Trophy

**9 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 551 | ოქსფორდი-ლიუისი | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 23:45 | 552 | ტემუორთი-ალტრინჰემი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



2006 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ზაზა კედელაშვილი



საქართველოს ძიუდოისტთა და მორაგბეთა „გაერთიანებული“ გუნდი

# წელი წავიდა, სიხარული გვიმრავლოს!

**ბოლო წლებში** ძიუდოისტებმა და მორაგბეებმა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული საახალწლო გამოკითხვის მონაწილე ჩვენს კოლეგებს დიდი თავსატეხი გაუჩინეს. ერთნიცა და მეორენიც სპორტულ ჟურნალისტებს წლის საუკეთესო გუნდებად მიაჩნიათ და მათ შორის არჩევანის გაკეთება მეტად გასჭირვებიათ. მართალია, ძიუდოისტები ევროპის გუნდურ ჩემპიონობას გაუშინაურდნენ და შარშან, უკვე მთელ დედამიწაზე უძლიერესის სახელი დაიგდეს, რაც ჩვენს მორაგბეებს საოცნებო აქვთ, მაგრამ მათ მიერ მსოფლიოს ჩემპიონატზე უბრალოდ მოხვედრაც კი მაინც დიდ ამბად მიგვაჩნია. ამიტომაც სასწორის ორივე პინა ერთმანეთს გასწორებია და ორივე ნაკრები შარშანდელი წლის საუკეთესო გუნდებად აღიარეს.

ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ღვინით სავსე ფუჟერებით ჩვენს მორაგბეებს ძიუდოისტთა წყლის გადასხმა ვუსურვეთ, თავად კიმონოსა და ტატამის ოსტატებს კი ტიტულების შენარჩუნება, ეს ყოველივე კი ტრადიციისამებრს „შერატონ მეტეხი პალასში“ მოხდა, სადაც საახალწლო ნაძვის ხესთან ჩვენი ამჯრის გამოკითხვის შედეგები გაცხადდა.

ამ რეფერენდუმის “„პირად პირველობაში“ ასევე ძიუდოისტმა ზაზა კედელაშვილმა გაიმარჯვა, ვინც ორმოციდან ჩვიდმეტმა ჟურნალისტმა პირველ ნომრად აღიარა და 361 ქულით საუკეთესო ათეულის სათავეშიც მოექცა, პრიზად კი ტრადიციული ჯილდო — ყოფილი მორაგბის, ახლა კი სახელიანი მოქანდაკის გია ჯაფარიძის ნამუშევარი მიიღო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: II — გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა — 270 ქულა), III — ზაზა ფაჩულია (კალათბურთი) — 232, IV — დავით ბედიანიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 189, V — შოთა არველაძე (ფეხბურთი) — 136, VI — ელენე გედევანიშვილი (ფიგურული ციგურაობა) — 129, VII — რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — 123, VIII — ლევან კობიაშვილი (ფეხბურთი) — 122, IX — მინდია ბოდაველი (სამბო) — 84, X — მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 69.

უპრიზებოდ და უსაჩუქროდ არც ეს სპორტსმენები დარჩენიათ და არც მათი მწვრთნელები, რომლებსაც თავიანთ აღსაზრდელთა წარმატებები მიულოცეს, ყველაზე მეტად კი საქართველოს ძიუდოისტთა გუნდის მთავარი მესაჭე შოთა ხაბარელი გამოარჩიეს, რომელიც ევროპის ძიუდოს ფედერაციამ მთელ კონტინენტზე საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნია.

იმ საღამოს გამოარჩიეს ძიუდოისტთა კიდევ ერთი მწვრთნელი — გოდერძი ველიჯანაშვილი, რომელსაც ქალთა შორის ამ სახეობისადმი ამაგი დაუფასეს.

რეგიონში სპორტის განვითარებისთვის ამაგი დაუფასეს ბოლნისის გამგებელ გიორგი არევაძესაც და ამ ლამაზ საღამოზე არც საკუთარი თავი დაგვიწყებია. ნოდარ გუგუშვილის სახელობის ყოველწლიური პრემია გადაეცა ჩვენს ვეტერან კოლეგა უშანგ ჭიჭინაძეს, ხოლო ახალგაზრდა სპორტული ჟურნალისტებიდან ლელოელი ირაკლი თავაძე და სარბიელელი ბაჩო სვანიძე გამოარჩიეს.

დაბოლოს, უმადურობა იქნებოდა, რომ არ გავიხსენოთ ის „გუნდები“, რომლებიც სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას იმ საღამოს მოწყობაში მხარში ამოუდგნენ. ესენი არიან ამ საქმეში ჩვენი ძველი მეგობრები: „ჯეოსელი“, „ფოლკსვაგენი“, შპს „სარაჯიშვილი“ და მათ რიგებს შემატებული „ოლიმპიური ვარსკვლავი“ და „ავერსი“.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ბადრი ქეთილაძის** *ფოტოები*



წლის მწვრთნელი: შოთა ხაბარელი



ამაგდარი ჟურნალისტი უშანგ ჭიჭინაძე ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიით ელგუჯა ბერიშვილმა დააჯილდოვა





ჯილდო ახალთაობელ ჟურნალისტებს, ლელოელ ირაკლი თავაძესა და სარბიელელ ბაჩო სვანიძესაც ერგოთ

# დაბრუნება ევროპაში

## ცქიტიშვილი წმინდა ფერნანდომ შეიფარა

**ის, რაზეც** 4 წლის წინ იყო ლაპარაკი და ჯობდა, მაშინვე მომხდარიყო, ახლაღა განხორციელდა — ნიკა ცქიტიშვილმა სათამაშოდ ევროპას, კერძოდ, ესპანეთს მიაშურა. სეზონის ბოლომდე ის სევილიურ „კახა სან ფერნანდოში" ითამაშებს.

2002 წელს ნიკა NBA-ს დრაფტზე მე-5 ნომრად „დენვერ ნაგიტსმა" აირჩია და რაკი ცქიტიშვილი სრულიად გამოუცდელი იყო, სპეციალისტებმა აღნიშნეს, ჯობს, ქართველმა ფორვარდმა დონე ჯერ ევროპაში აიმაღლოსო. თუმც იყო იმის შანსიც, რომ „სკიტას" ფანტასტიკური მონაცემების გაფურჩქვნისთვის ნბა-ში მცირე მოთელვაც ეყოფოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ისედაც უნიათოდ ჩატარებული სადებიუტო სეზონის შემდეგ მისი შედეგიანობა კატასტროფულად დაეცა.

ნბა-ში ფუჭად გატარებული 4 წლის თავზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცქიტიშვილის ოკეანგაღმა გადაბარგება შეცდომა იყო. და აი, ახლა მივიდა „ცქიტო" იქ, სადაც თავის დროზე რომ მისულიყო, ეჭვი არაა, ახლა გაცილებით უკეთესი მოთამაშე იქნებოდა და ვინძლო, მისი სატრანსფერო მარშუტი ამერიკიდან ბებერი კონტინენტისკენ კი არა, პირუკუ ყოფილიყო.

მაშ ასე, ცქიტიშვილი ესპანეთში ითამაშებს, რაზეც „სარბიელი" ჯერ კიდევ ახალ წლამდე წერდა. ერთი ეგაა, ნიკა „ვალიადოლიდის" ნაცვლად „სან ფერნანდოში" გადავიდა, რასაც, პრინციპში, პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. „ვალიადოლიდი" პრიმერადივიზიონის ფსკერზეა დალექილი და იქ ნიკას სავარაუდოდ მოედანზე ყოფნა დიდხანს მოუწევდა, ვიდრე გაცილებით ძლიერსა და ამბიციურ „სან ფერნანდოში".

ცქიტიშვილმა უკვე მოირგო „კახას" მაისურა, თუმც „გრანადასთან" გუშინწინდელ მატჩს სათადარიგო სკამიდან უცქირა. ის 3 დღის წინ ჩავიდა სევილიაში და სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა. რამდენად მოერგება ნიკა ესპანურ ლიგას, მომავალ მატჩებში გამოჩნდება. ამ ეტაპზე მისი ერთადერთი მიზანი სათამაშო პრაქტიკის შეძენაა.

**ირაკლი პერტაია**



# NBA რეგულარული ჩემპიონატი




ზაზა ფაჩულიამ „კლიპერსთან" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა

# ფაჩულიამ 22 დაითავისა

27 დეკემბერი

**ატლანტა 76:89 კლივლენდი**

ატლანტა: კლაქსტონი (11 ქულა, 8 ჩაჭრა), ჯონსონი (10), მ. უილიამსი (5), შ. უილიამსი (6 ქულა, 12 მოხსნა), ფაჩულია (36 წუთი, 22 ქულა, 7 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 2 პასი); ჩილდერსი (12), რაიტი (8), სტუდემაიერი (2), ბოზმანი

ტორონტო — მინესოტა 100:97, შარლოტი — ვაშინგტონი 107:114, ნიუ იორკი — დეტროიტი 151:145 *(მესამე ოვერტაიმში)*, მემფისი — მილუოკი 96:112, საკრამენტო — ფილადელფია 101:76, ორლანდო — ლეიკერსი 93:106, ნიუ ჯერსი — ჰიუსტონი 71:96, ჩიკაგო — მაიამი 109:103, პორტლენლდი — ნიუ ორლეანი 100:85, კლიპერსი — ბოსტონი 100:77

28 დეკემბერი

სან ანტონიო — იუტა 106:83, დენვერი — სიეტლი 112:98, დალასი — ფინიქსი 101:99

29 დეკემბერი

**ჰიუსტონი 94:68 ატლანტა**

ატლანტა: კლაქსტონი (5), ჯონსონი (11), მ. უილიამსი (4), შ. უილიამსი (11 ქულა, 11 მოხსნა), ფაჩულია (28 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა); ჩილდერსი (15), სტუდემაიერი (8), აივი (4), ბატისტა (2), მედვედენკო (2), ჯონსი

ტორონტო — ჩიკაგო 97:107, შარლოტი — ლეიკერსი 133:124 *(მესამე ოვერტაიმი)*, კლივლენდი — მილუოკი 109:99, მინესოტა — სიეტლი 101:82, ვაშინგტონი — ორლანდო 112:111, მაიამი — ნიუ ჯერსი 81:91, ნიუ ორლეანი — დენვერი 99:89, დეტროიტი — ინდიანა 92:93, ფინიქსი — ნიუ იორკი 108:86, პორტლენდი — ფილადელფია 95:98, კლიპერსი — საკარმენტო 102:93, გოლდენ სტეიტი — ბოსტონი 110:100

30 დეკემბერი

ინდიანა — შარლოტი 102:113, ნიუ ჯერსი — მინესოტა 100:92, დალასი — ნიუ ორლეანი 94:80, მილუოკი — ვაშინგტონი 102:119, საკრამენტო — გოლდენ სტეიტი 119:96, ორლანდო — მაიამი 97:68, მემფისი — ტორონტო 110:104, ჩიკაგო — კლივლენდი 103:96, იუტა — პორტლენდი 96:86

31 დეკემბერი

**სან ანტონიო 95:81 ატლანტა**

ატლანტა: კლაქსტონი (6), ჯონსონი (23), მ. უილიამსი (13), შ. უილიამსი (9), ფაჩულია (23 წუთი, 4 ქულა, 1 ჩაჭრა); ჩილდერსი (19 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (7), აივი, ბატისტა, ჯონსი

დეტროიტი — ფინიქსი 101:108, დენვერი — დალასი 85:89, სიეტლი — ბოსტონი 101:95, კლიპერსი — ნიუ იორკი 90:80, ჰიუსტონი — მემფისი 111:109, ლეიკერსი — ფილადელფია 104:94

1 იანვარი

შარლოტი — მინესოტა 96:102, პორტლენდი — ბოსტონი 81:89

2 იანვარი

ორლანდო — კლიპერსი 91:86, ნიუ ორლეანი — გოლდენ სტეიტი 89:97, ჩიკაგო — ფინიქსი 96:97, საკრამენტო — ნიუ იორკი 112:100, კლივლენდი — სან ანტონიო 82:78, დალასი — სიეტლი 112:88, დენვერი — ფილადელფია 97:108

3 იანვარი

ტორონტო — ფინიქსი 98:100, ბოსტონი — კლივლენდი 104:107, მემფისი — გოლდენ სტეიტი 144:135, ჰიუსტონი — სიეტლი 103:96, პორტლენდი — ნიუ იორკი 81:99, ვაშინგტონი — მილუოკი 108:105, მაიამი — კლიპერსი 95:110, მინესოტა — სან ანტონიო 103:101 *(ოვერტაიმში)*, იუტა — ფილადელფია 98:87

4 იანვარი

ნიუ ორლეანი — დეტროიტი 68:92, საკრამენტო — ლეიკერსი 128:132 *(ოვერტაიმში)*, დალასი — ინდიანა 100:91

5 იანვარი

**ტორონტო 105:92 ატლანტა**

ატლანტა: კლაქსონი (18), ჯონსონი (15), მ. უილიამსი (24), შ. უილიამსი (10), ფაჩულია (35 წუთი, 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა); ჩილდერსი (11), ჯონსი (2), რაიტი, აივი

ორლანდო — შარლოტი 106:74, მინესოტა — ფილადელფია 104:102 *(ოვერტაიმში)*, მემფისი — ბოსტონი 119:128, მილუოკი — კლივლენდი 86:95, ვაშინგტონი — კლიპერსი 116:105, ნიუ ჯერსი — ჩიკაგო 91:86, სან ანტონიო — დალასი 85:90, ჰიუსტონი — იუტა 100:86, სიეტლი — ნიუ იორკი 93:111, ლეიკერსი — დენვერი 123:104, ფინიქსი — მაიამი 108:80

6 იანვარი

**ატლანტა 86:74 კლიპერსი**

ატლანტა: კლაქსტონი (9), ჯონსონი (27), მ. უილიამსი (8), შ. უილიამსი (4), ფაჩულია (33 წუთი, 22 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა); ჩილდერსი (6), ჯონსი (6), სტუდემაიერი (4), რაიტი

ნიუ ორლეანი — ინდიანა 93:100, დენვერი — იუტა 84:96, გოლდენ სტეიტი — სიეტლი 108:104, კლივლენდი — ნიუ ჯერსი 96:91, ჩიკაგო — დეტროიტი 106:89, საკრამენტო — პორტლენდი 105:110 *(ოვერტაიმში)*

7 იანვარი

ტორონტო — ვაშინგტონი 116:111, მემფისი — სან ანტონიო 96:110, ფინიქსი — გოლდენ სტეიტი 128:105, ლეიკერსი — დალასი 101:98, მინესოტა — ჰიუსტონი 103:99 *(ოვერტაიმში)*, ორლანდო — ბოსტონი 87:79, პორტლენდი — მაიამი 90:93

**2007 წელი** არცთუ ტკბილად გაუთენდა ნბა-ში შემორჩენილი ერთადერთდ ქართველის, ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსს". დეკემბრის ბოლოს ზედიზედ 7 თამაშის წამგებ „ქორებს" 2006 წლის ბოლოს 9 მოგების წილ 20 მარცხი დაუგროვდათ და ამ შედეგით ნამდვილად ვერ დაიტკბობდნენ ახალ წელს, მით უფრო, რომ ჯერ არ ჰქონდათ დავიწყებული სეზონის მართლაც ტკბილი დასაწყისი — პირველი 5 თამაშიდან 4 მოგება და აღმოსავლეთ კონფერენციაში ხანმოკლე ლიდერობა.

„ატლანტას" ოპტიმიზმის საფუძველი ვერც იანვრის პირველმა თამაშმა გაუჩინა, დაახლოებით მისივე გაქანების „ტორონტომ" დაასიცქა და ზედიზედ მერვე მარცხით დაზურგა. „ჰოქსს" მიჯრით ამდენი თამაში 2005 წლის ნოემბრის შემდეგ არ წაუგია. ჯორჯიელებისთვის ყველაზე ცუდი კი ის გარემოება გახლდათ, რომ ისინი შინაც აგებდნენ. საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ ზედიზედ ექვსჯერ შერცხვნენ და სულ შეილახეს სახელი.

ისე კი „ქორებს" და მათ ბაზიერ მაიკ ვუდსონს თავსამართლებელი მიზეზები საკმაოდ მოეპოვებათ. თვენახევარია, სრული შემადგენლობით არ უთამაშიათ, ხან ვინ ემტვრევათ და ხან — ვინ. ტრავმამ ზაზა ფაჩულიასაც „გაჰკრა კბილი". ჩვენებურმა რამდენიმე თამაში მტკივანი იდაყვით ჩაატარა, რაც აშკარად დაეტყო მის შედეგიანობას. კიდევ კარგი, სულ არ გამოუტოვებია. აი სხვებს კი ნაკლებად გაუმართლათ — ჯოშ ჩილდერსი და მარვინ უილიამსი რომ გამოჯანმრთელდნენ, ახლა ჯოშ სმიტი და ტაირონ ლუ დაიმტვრნენ.

მარცხიანი სერია 6 იანვარს დასრულდა, როდესაც „ატლანტამ" ასევე ტრავმებით შეჭირვებული „კლიპერსი" შინ მოიხელთა და 8-მატჩა მოუგებელი სერია მისი ძლევით შეწყვიტა. გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც წლეულს უკვე მეოთხედ გააკეთა 22 ქულა, რაც მისი სეზონის რეკორდია.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ტორონტო | 15 | 19 | 44,1 |
| ნიუ ჯერსი | 14 | 19 | 42,4 |
| ნიუ იორკი | 15 | 21 | 41,7 |
| ბოსტონი | 12 | 21 | 36,4 |
| ფილადელფია | 9 | 24 | 27,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 21 | 12 | 63,6 |
| დეტროიტი | 19 | 12 | 61,3 |
| ჩიკაგო | 20 | 14 | 58,8 |
| ინდიანა | 18 | 16 | 52,9 |
| მილუოკი | 16 | 17 | 48,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 21 | 14 | 60,0 |
| ვაშინგტონი | 19 | 14 | 57,6 |
| მაიამი | 14 | 19 | 42,4 |
| ატლანტა | 10 | 21 | 32,3 |
| შარლოტი | 9 | 23 | 28,1 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 27 | 8 | 77,1 |
| სან ანტონიო | 24 | 11 | 68,6 |
| ჰიუსტონი | 21 | 13 | 61,8 |
| ნიუ ორლეანი | 12 | 21 | 36,4 |
| მემფისი | 8 | 27 | 22,9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 24 | 10 | 70,6 |
| მინესოტა | 17 | 15 | 53,1 |
| დენვერი | 16 | 15 | 51,6 |
| პორტლენდი | 14 | 21 | 40,0 |
| სიეტლი | 13 | 23 | 36,1 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 25 | 8 | 75,8 |
| ლეიკერსი | 23 | 11 | 67,6 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 18 | 50,0 |
| საკრამენტო | 14 | 17 | 45,2 |
| კლიპერსი | 15 | 19 | 44,1 |

# ევროპის VIII ჩემპიონატი
ქალები. შესარჩევი ტურნირი. მესამე ჯგუფი
7 იანვარი. თბილისი. სპორტის სასახლე. 800 მაყურებელი

**საქართველო 29:32 ლატვია**

საქართველო: თევზაძე, სამყურაშვილი, რუსია (გაიტანა 8 გოლი), გელაშვილი (6), ჭანტურია (5), ქობელაშვილი (4), ბოყოჩაძე (3), ტალახაძე (2), კირილოვი (1), ყიფიანი, კობახიძე, ნიკოლაიშვილი, წივწივაძე, მსხვილიძე
ლატვია: ბრაჟნიკოვსი, ტიხანოვსი, უშჩინსი (9), ვალკოვსკისი (5), ვერშაკოვსი (5), ანდრეის კუზმინსი (5), კლეშნიკსი (4), ვაძიტისი (3), იურჯსი (1), ლიბერგსი, პავლოვიჩსი, ალექსეის კუზმინსი, სტრაუმე, ლილიენფელდსი
მსაჯები: გერჰარდ რაიხინგერი, კრისტიან კაშუცი (ავსტრია)
ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატი: მუსტაფა ბალაკი (თურქეთი)

## ხელი მოგვცეც, ბურთი იქნება


ქართველთაგან ყველაზე შედეგიანი ვლადიმერ რუსია იყო

**სამწუხაროდ**, ვერ იყოჩაღა საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის სტარტზე.

სამ იანვარს რიგაში 18-ბურთიანი სხვაობით განადგურების შემდეგ მერაბ მეტრეველის გუნდი ლატვიელებთან თბილისშიც დამარცხდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ანგარიშითაც და ხარისხითაც ეს მატჩები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. რიგაში ჩვენებმა უთვალავი შეცდომა დაუშვეს, განსაკუთრებით შეტევაში პასებისას, ბურთი ცხელი კარტოფილივით უვარდებოდათ ხელიდან. მართალია, შეცდომები საპასუხო შეხვედრაშიც ჰქონდათ, თუმც გაცილებით ნაკლები. ის კი არა, მოგებასთან ახლოსაც იყვნენ.

ამ წყვილთან ერთად ჯგუფში რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდებიც არიან. ფავორიტებად რუმინელები ითვლებიან. ვარაუდით, პლეი ოფის მეორე საგზურისთვის საქართველოს და ლატვიას მწვავე ბრძოლა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ გუშინწინდელი მეორე მარცხის შემდეგ, რომ იტყვიან, ჩვენმა მატარებელმა ჩაიარა.

რა გასაკვირია, რომ უფულო, უსპარინგო, უშეკრებო, ულიდერო, უხეიროდ მომზადებული გუნდი ვერაფერს გახდა ჩვენზე არც ისე მაღალი დონის, ოღონდ ორგანიზებულ, მოწესრიგებულ, პატრონიან და სპარინგ-ტურნირებიან მეტოქესთან.

ექვსმატჩიან ციკლში ქართველთა მთავარი თავსატეხი ორი წამყვანი ხელბურთელის, სერგო დათუკაშვილისა და ტიტე კალანდაძე's არყოფნა ტრავმების გამო გამოდგა. რიგაში ისე დაშავდა გოლიათი (204სმ) რატი მსხვილიძე, რომ იქნებ მენისკის ოპერაცია დასჭირდეს. გუშინწინ ვერ ითამაშა ლევან ბერძენიშვილმაც, რომლის მაგივრად შემადგენლობაში შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გიორგი წივწივაძე გამოჩნდა, თუმც მხოლოდ ერთი წუთით მოუწია მოედანზე გასვლა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მერაბ მეტრეველმა აქცენტი მაინც გამოცდილ ვეტერანებზე გააკეთა. ისინიც ძალიან კი ეცადნენ, მაგრამ...

იმასაც ვიტყვით, რომ მატჩის მთელმა სიმძიმემ შვიდ-რვა მოთამაშეზე გადაიარა, რაც ბუნებრივია, უმძიმესი დატვირთვაა და მეორე ტაიმის შუაწელში გუნდს ცხადად დაეტყოთ დაღლა. წუნიც მომრავლდა, აშკარად იგრძნობოდა შეუთამაშებლობა, ტაქტიკური ერთფეროვნება. ან კი როგორ უნდა დაემუშავებინათ და დაეხვეწათ შეტევა-დაცვის ვარიანტები, როცა ერთი საკონტროლო შეხვედრაც ვერ ჩაატარეს ასეთი მაღალი დონის ტურნირის წინ და „მზადებაც" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზიდან გაუსვლელად ოდენ ერთმანეთთან ვარჯიშით შემოიფარგლა.

ჩვენს ყოფილ მოძმე ლატვიაში ხელბურთის ბუმიაო, არ ითქმის, თუმც საქმე მშვენივრად მოუგვარებიათ, არც ყურადღება აკლიათ და არც სპონსორული ხელშეწყობა. რვაგუნდა ეროვნული ჩემპიონატის წამყვან კლუბებში მოთამაშეებს მაღალი ანაზღაურება აქვთ. მადა ჭამაში მოდისო და ბალტიისპირელები ჯგუფში პირველ ადგილს უმიზნებენ, წინა ციკლში, როცა ორი წამყვანი ხელბურთელი გვაკლდა, რუმინელებთან ორი და სამი ბურთით წავაგეთ და ახლა რევანშის აღებას ვაპირებთო. ნაკრების რვა წევრი გერმანიის, ავსტრიის, ნორვეგიისა და ისლანდიის კლუბებში გამოდის.

ლატვიელებმა დეკემბრის ბოლოს რიგაში ითამაშეს ოთხგუნდა ტრადიციულ, რიგით უკვე მეათე საერთაშორისო ტურნირში, მეტოქეებად კი ლიტვის, ლუქსემბურგისა და მოლდოვას გუნდები ჰყავდათ. მასპინძლებმა სამივე მატჩი მოიგეს და ქართველებთან შეხვედრების წინ მშვენიერი პრაქტიკაც მიიღეს. ჩვენ კი რა?!

ცნობისთვის, ევროშესარჩევ ციკლში ლატვიასთან ადრეც გვითამაშია. რვა წლის წინ ქართველმა ხელბურთელებმა მოწინააღმდეგეს თბილისშიც სძლიეს და რიგაშიც — 27:23 და 19:18. ამჯერად მართალია, დავმარცხდით, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის უქონლობისა და სხვა ხელისშემშლელი მიზეზების გათვალისწინებით, გუნდს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია და რამდენიმეწუთიანი ჩავარდნა რომ არა, შეხვედრა სხვა შედეგით დასრულდებოდა.

ჩვენების სასტარტო შვიდეულში ხუთი „უცხოელი" იყო — თურქეთის „პოლის აკადემიის" მეკარე შოთა თევზაძე, „უკრაინელი" ინსაიდები — ვლადიმერ რუსია და მამია კობახიძე, „მაკედონიელი" ცაცია ფრთა რევაზ ჭანტურია და ათიოდე დღის წინ გაქართველებული ბელარუსი, 29 წლის „ხაზი" სერგეი კირილოვი.

მასპინძლებმა მშვენივრად დაიწყეს, რუსიამ და ჭანტურიამ ორ წუთში ორჯერ გაუტანეს 39 წლის დმიტრის ბრაჟნიკოვსს — 2:0. თავიდანვე ჩაერთო საქმეში ჩვენი გოლკიპერიც. თევზაძემ დიდებულად ითამაშა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში — პირისპირ გასულ მეტოქეთა 11 ნატყორცნი მოიგერია, (ფაქტობრივად ყოველი მეორე), რაც მეტად მაღალი მაჩვენებელია.

ორივე გუნდმა ზონურ დაცვას მიმართა და პრაქტიკულად, მოწინააღმდეგის ლიდერები პერსონალურად არც აუყვანიათ. სტუმართა მცველები უფრო მჭიდროდ იჭერდნენ ჩვენს თავდამსხმელებს, განსაკუთრებით ხაზელ კირილოვს და ამდენად, მისი მისამართით პასების უმეტესობა მიზანს ვერ აღწევდა, ამასთან, ზურგიდან „ფრთებსაც" ბურთებით აქტიურად ვერ ამარაგებდნენ.

ხუთიოდ წუთში უკვე ლატვიელები გავიდნენ წინ — 3:2, რუსიამ გათანაბრა. ასე ბურთი-ბურთში მიდიოდა მთელი ტაიმი, ანგარიში 11-ჯერ გაყაიმდა, ხოლო შესვენებაზე მასპინძლები წავიდნენ მინიმალური უპირატესობით — 15:14. მეორე ნახევარი მათ უფრო დაჯერებულად და ენერგიულად დაიწყეს. ხუთ წუთში სხვაობა ოთხამდე გაიზარდა — 19:15, მაგრამ ეტყობა, ნაადრევად ჩათვალეს საქმე მოთავებულად და ორ წუთში ხამი გოლიც მიიღეს. მატჩის მიწურულს კვლავ ჩვენები იყვნენ წინ — 27:25, თუმც ძალაგაცლილებს მოწინააღმდეგის ზედიზედ ოთხი სწრაფი შეტევა „გაეპარათ" — 27:29 და გამარჯვებულის საკითხიც გაირკვა.

დასანანი მარცხია, თუმც არა კატასტროფა. ნათლად გამოჩნდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ნაკრების საიმედო პოტენციალი და თუ სათანადო თანადგომა იქნება, მეტრეველის თქმით, მომავალ ევრო ციკლში ორი წლის შემდეგ, გუნდი აუცილებლად მიაღწევს მიზანს.

შემდეგ მატჩში ქართველი ხელბურთელები 12 იანვარს რუმინელებს უმასპინძლებენ.

**გია ახალაძე**

**3 იანვარი**

**ლატვია 38:20 საქართველო**
**რუმინეთი 38:24 ბულგარეთი**

**7 იანვარი**

**ბულგარეთი 24:30 რუმინეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 70:49 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 0 | 68:48 | 4 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 2 | 48:68 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 2 | 49:70 | 0 |



## კოკაი ყველაფერს თავიდან იწყებს

**ტოკიოს** „კოკუგიკანის" დარბაზში პროფესიონალ სუმოისტთა იანვრის ბაშო გახურდა. სეზონის პირველი დიდი ტურნირი ქართველმა სეკიტორმა ლევან ცაგურიამ რიგითი მაეგაშირას წოდებით დაიწყო. გასული სეზონის ბოლო, ნოემბრის ბაშოზე ცხრაქულიანი უარყოფით ბალანსი კოკაის კომუსუბობის დაკარგვად დაუჯდა და მეხუთე მაეგაშირობამდე ჩამოქვეითდა.

ორმოცდაორი რიკისი ტრადიციულად თხუთმეტ ტურს ჩაიჭიდავებს და იმპერატორის თასს საუკეთესო მოიპოვებს. ჯერ მხოლოდ ორი ტური ჩატარდა და საჩემპიონო შანსებზე საუბარიც ადრეა. მით უმეტეს, ამ ორ დღეში ბევრი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. უმაღლესი იერარქიული წოდებებით თავმომწონე ათი დიდკაციდან რვამ წაგება მოასწრო. უდანაკარგონი მხოლოდ იოკოძუნა ასასიორიუ და ოძეკი კაიო არიან.

ლევან ცაგურიამ სეზონი აღმოსავლეთის მეხუთე მაეგაშირასთან, ტაკამისაკარისთან მარცხით გახსნა. არადა, ორთაბრძოლა ისე დაიწყო, თითქოს ქართველს მეტოქის წაქცევა არ უნდა გასჭირვებოდა. ტაკამასაკარიმ „შავი ზღვის" მძლავრ შეტევას გაუძლო და სწრაფი კონტრილეთიც გააკეთა, რომლის შემდეგაც ორივე სეკიტორი წაიქცა. სადავო ეპიზოდი მსაჯებმა კოკაის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტეს, აქაოდა, უფრო ადრე იგი შეეხო მუხლით ხალიჩასო. უარყოფითი ბალანსი ცაგურიამ გუშინ ექსსეკივაკე ტოჩინონადას ძლევით გამოასწორა, დღეს კი კიდევ ერთ ექსსეკივაკეს, 32 წლის კოკუტენხოს დაეჭიდება.

იმპერატორის თასის ცხრამეტგზის მფლობელმა ასასიორიუმ კოკუგიკანური ბაშო ალანიელი გოლიათის, როხოს ძლევით გახსნა და გუშინ ზედ კოტოსიოგიკუც მიაყოლა. ოცდამეერთე საუკუნის პირველ და ერთადერთ იოკოძუნას შარშან სექტემბრის მერე არ წაუგია.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი წაუგებელი სერიის დასრულებას სწორედ კოტოსიოგიკუსგან მოელოდა. მართალია, ამ 22 წლის ყოჩაღ დევბიჭს ასასიორიუ აქამდე ოთხი ცდიდან ერთხელაც ვერ წაექცია, მაგრამ სამაგიეროდ სულ სხვა სტატისტიკით იწონებდა თავს. ნოემბრის ბაშოზე იოკოძუნასთან წაგების შემდეგ მან ზედიზედ ცხრა ქულა მოინაგრა და ზედ კოკუგიკანური სასტარტო გამარჯვებაც მიაყოლა. სიხარულის სერია ისევ „ცისფერმა დრაკონმა" ჩაამწარა.

34 წლის კაიომ ნოემბერში მეორე იერარქიული საფეხური — ოძეკის წოდება მეათედ დაიცვა. ეს დიდ სუმოში სარეკორდო მაჩვენებელია, თუმცა ვეტერანი ოძეკი ისეთ ფორმაშია, საკუთარ რეკორდს ორიოდ კვირაში ალბათ კიდევ გააუმჯობესებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**


კოკაიმ პირველ მარცხს გამარჯვება შეუნაცვლა

# ომოდტმა ბოლო ომი ტურინში გადაიხადა
## დიდმა კაცმა დიდი კარიერა დაასრულა




AFP

ჩეტილ ანდრე ომოდტი კარიერის ბოლოს ნორვეგიის წლის სპორტსმენად აღიარეს

**გასულ უქმეებზე** შვეიცარიულ ადელბოდენსა და სლოვენიურ კრანსკა გორაში მთის მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი, სლალომური ეტაპები გაიმართა, მაგრამ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ უფრო მნიშვნელოვანი სამთო-სათხილამურო ამბავი ნორვეგიაში გაცხადდა — დიდმა ნორვეგიელმა ჩეტილ ანდრე ომოდტმა თხილამურები კედელზე მიაყუდა და დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება.

35 წლის ომოდტი მთის მოთხილამურეთა ლეგენდათა შორის უცილობლად შევა და ეს, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს სარგებლობდა სუპერვარსკვლავის წოდებით და მუდამ ისეთი ხალხის ჩრდილში რჩებოდა, მარკო ჟირარდელი, ალბერტო ტომბა, ჰერმან მაიერი და ბოდე მილერი რომ იყვნენ და არიან.

დიახ, ადრეც, გასული საუკუნის 90-იან წლებშიც და უკვე 21-ე საუკუნეშიც ომოდტი, ერთგვარად ფერმკრთალ ფიგურად რჩებოდა და ეს მაშინ, როდესაც ტიტულებით ჩეტილ ანდრე მთის მოთხილამურეთა შორის ნამდვილად არავის ჩამოუვარდებოდა და ბევრ კომპონენტში ყველას აღემატებოდა კიდეც.

4 ოლიმპიური ოქრო — სამთო-სათხილამურო სპორტში ეს რეკორდია და რეკორდია ომოდტის მიერ ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული 9 ოქრო და ჯამური 20 მედალიც.

ჩეტილ ანდრეს თითქმის ოცწლიანმა კარიერამ უამრავი წარმატება მოიცვა. 1992 წელს, ფრანგული ალბერვილის ოლიმპიადაზე ნორვეგიელმა სუპერგიგანტი მოიგო; 10 წლის შემდეგ, ამერიკულ სოლტ ლეიკ სიტიში ომოდტმა ისევ სუპერგიგანტსა და კომბინაციაში იპირველა და შარშან კი, იტალიურ ტურინში მესამედ მოიგო ოლიმპიური სუპერგიგანტის ოქრო.

ოთხ ოქროს ორ-ორი ვერცხლი და ბრინჯაო დავამატოთ და რვა ოლიმპიური მედალი გამოვა. ამას მსოფლიოს ჩემპიონატების ხუთ ოქროს, ოთხ ვერცხლისა და სამ ბრინჯაოსაც თუ მივამატებთ, ნახსენებ 20 მედალს მივიღებთ.

კიდევ მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოგებული 21 ეტაპი, 62 პოდიუმი და, რაც მთავარია, 1993-94 წლების სეზონის ბოლოს აწეული ბროლის დიდი გლობუსი — მსოფლიოს თასის მომგების სარგო პრიზი. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ შვეიცარიელ პირმინ ცურბრიგენთან, ლუქსემბურგელ მარკო ჟირარდელთან, თანამემამულე ლასე კიუსთან და ამერიკელ ბოდე მილერთან ერთად, ომოდტი იმ უიშვიათესი ხუთეულის წევრია, მსოფლიოს თასის ეტაპებზე ყველა, ხუთივე სახეობაში (სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი, კომბინაცია, გიგანტური სლალომი, სლალომი) რომ უმარჯვია.

აი, ასეთი კაცი წავიდა დიდი სპორტიდან და მერე რა, რომ ჩეტილ ანდრე ომოდტი აფიშირებული ვარსკვლავი არ იყო.

ომოდტი მაშინ წავიდა, როცა საჭიროდ მიიჩნია. მან ნორვეგიულ მთას თხილამურებში მემკვიდრე დაანახა — მსოფლიოს თასის წლევანდელ გათამაშებას ხომ ახალი თაობის ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალი ლიდერობს.

## მსოფლიოს თასი

### ქალები

**კრანსკა გორა (სლოვენია). 6-7 იანვარი**

**გიგანტური სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 2წთ. 09,85 წმ. (1.03,70+1,06,15). |
| 2. ნიკოლ ჯუსი (იტალია) | 2.10.28 (1.04,32+1.05,96) |
| 3. ტანია პოუტიანენი (ფინეთი) | 2.10,42 (1.03,98+1.06,44) |
| 4. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) | 2.10,53 (1.04,69+1.05,84) |
| 5. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 2.11,10 (1.04,50+1.06,60) |

**სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1წთ.40,96წმ (50,15+50,90) |
| 2. ზარკა ზაჰროვსკა (ჩეხეთი) | 1.41,62 (50,55+51,07) |
| 3. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 1.42,61 (50,77+51,84) |
| 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1.42,68 (50,78+51,90) |
| 5. ანა იელუშიჩი (ხორვატია) | 1.42,87 (51,27+51,60) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 797 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 700 |
| 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 562 |
| 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 448 |
| 5. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 441 |

### კაცები

**ადელბოდენი (შვეიცარია). 6-7 იანვარი**

**გიგანტური სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2წთ.25,29წმ. (1.13,06+1.12,23) |
| 2. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) | 2.26,14 (1.13,24+1.12,90) |
| 3. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 2.26,29 (1.13,68+1.12,61) |
| 4. კალე პალანდერი (ფინეთი) | 2.26,45 (1.13,28+1.13,17) |
| 5. ჟოელ შენალი (საფრანგეთი) | 2.26,51 (1.14,27+1.12,24) |

**სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. მარკ ბერტოდი (შვეიცარია) | 1წთ. 47,42წმ. (55,15+52,28) |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1.47,68 (52,43+55,25) |
| 3. მარიო მატი (ავსტრია) | 1.47,80 (52,72+55,08) |
| 4. კალე პალანდერი (ფინეთი) | 1.47,82 (52,64+55,18) |
| 5. მარკუს ლარსონი (შვედეთი) | 1.47,97 (52,38+55,59) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 639 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 571 |
| 3. ბოდე მილერი (აშშ) | 540 |
| 4. პეტერ ფილი (იტალია) | 464 |
| 5. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 458 |



## მსოფლიოს თასი




AFP

ავსტრიელმა თინეიჯერმა გრეგორ შლირენცაუერმა ოთხი ტრამპლინის ტურნე კი ვერ მოიგო, მაგრამ ორ ეტაპზე იმარჯვა და თავისი მე-17 დაბადების დღე ბიშეფსჰოფენის ტრამპლინზე გამარჯვებით აღნიშნა

### ოთხი ტრამპლინის ტურნე

**ობერსდორფი (გერმანია). დიდი ტრამპლინი. K-120**

| | |
|---|---|
| 1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 296,0 ქულა (135,5 მ.+142,0მ.) |
| 2. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 286,5 (133,5+136,5) |
| 3. ადამ მალიში (პოლონეთი) | 280,3 (132,0+134,0) |
| 4. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 279,7 (131,5+135,0) |
| 5. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 276,9 (135,0+133,0) |

**გარმიშ პარტენკირხენი (გერმანია) დიდი ტრამპლინი. K-120**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 135,9 (125,5) |
| 2. მატი ჰაუტამაეკი (ფინეთი) | 133,0 (125,0) |
| 3. ნორიაკი კასაი (იაპონია) | 132,9 (128,0) |
| 4. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 129,4 (123,0) |
| 5. ბიორნ ეინარ რომოერენი (ნორვეგია) | 128,1 (122,0) |

**ინსბრუკი (ავსტრია). დიდი ტრამპლინი. K-120**

| | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 265,0 (129,0+128,5) |
| 2. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 263,9 (128,5+129,5) |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 261,5 (125,5+132,0) |
| 4. არტუ ლაპი (ფინეთი) | 257,5 (125,5+128,5) |
| 5. იანე აჰონენი (ფინეთი) | 251,2 (125,5+126,0) |

**ბიშეფსჰოფენი (ავსტრია). დიდი ტრამპლინი. K-120**

| | |
|---|---|
| 1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 291,9 (139,5+141,0) |
| 2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 289,1 (137,5 +142,0) |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 255,5 (135,0+137,5) |
| 4. დიმიტრი ვასილიევი (რუსეთი) | 269,1 (133,5+136,0) |
| 5. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 262,4 (133,0+132,5) |

**საბოლოო მდგომარეობა**

| | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 962 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 945 |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 932 |
| 4. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 916 |
| 5. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 910 |

**მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 621 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 584 |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 538 |
| 4. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 458 |
| 5. ადამ მალიში (პოლონეთი) | 330 |



## მსოფლიოს თასი

**ობერხოფი (გერმანია). 5-7 იანვარი**

### ქალები

**სპრინტი. 7,5 კმ (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 24წთ. 18,4 წმ. (2 აცდენა) |
| 2. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | +17,3 წმ. (1) |
| 3. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | +19,7 (0) |
| 4. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | +25,4 (1) |
| 5. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) | +43,9 (1) |

**გამოდევნებით რბოლა. 10 კმ (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 35წთ. 33,7 წმ. (2) |
| 2. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) | +29,6 წმ. (3) |
| 3. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | +30,9 (6) |
| 4. ინგ ჩაო კონგი (ჩინეთი) | +52,4 (1) |
| 5. კატი ვილჰელმი (გერმანია) | +57,8 (3) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 371 ქულა |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 295 |
| 3. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 286 |
| 4. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 268 |
| 5. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 268 |

### კაცები

**სპრინტი. 10 კმ (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 28წთ. 28,4 წმ. (1 აცდენა) |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | +3,5 წმ. (1) |
| 3. რენე ლორან ვილერმოზი (იტალია) | +3,6 (2) |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | +28,8 (1) |
| 5. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | +29,5 (2) |

**გამოდევნებით რბოლა. 12,5 კმ (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 36წთ. 18,2წმ. (1) |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | +28,6 (2) |
| 3. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | +30,1 (3) |
| 4. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | +42,5 (1) |
| 5. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | +55,1 (3) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 320 ქულა |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 389 |
| 3. ოლე ეინარ ბიორნდანელი (ნორვეგია) | 288 |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 256 |
| 5. ბიორნ ფერი (შვედეთი) | 236 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**27 დეკემბერი**

ფლორიდა — ფილადელფია 3:1, პიტსბურგი — ატლანტა 2:4, ოტავა — აილენდერსი 2:0, ვანკუვერი — კალგარი 6:5 *(ოვერტაიმში)*, დეტროიტი — მინესოტა 3:1, ვაშინგტონი — მონრეალი 1:4; კოლორადო — დალასი 4:5

**28 დეკემბერი**

ბუფალო — კაროლინა 4:1; ტამპა — ფილადელფია 3:4, სან ხოსე — ფინიქსი 2:3, კოლუმბუსი — დეტროიტი 4:7, ედმონტონი — ლოს ანჯელესი 4:7

**29 დეკემბერი**

კაროლინა — ანაჰაიმი 4:2, ოტავა — რეინჯერსი 1:0, ფლორიდა — მონრეალი 3:1, დალასი — ნეშვილი 4:1, კოლორადო — სენტ ლუისი 2:4, ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი 4:3, პიტსბურგი — ტორონტო 4:1, მინესოტა — კოლუმბუსი 4:3 *(ოვერტაიმში)*, ჩიკაგო — ბოსტონი 3:5, კალგარი — ლოს ანჯელესი 6:4

**30 დეკემბერი**

ტორონტო — ოტავა 2:3 *(ოვერტაიმში)*, ბუფალო — ატლანტა 4:1, ტამპა — მონრეალი 3:1, ნეშვილი — ბოსტონი 5:0, ედმონტონი — ვანკუვერი 2:6, რეინჯერსი — ვაშინგტონი 4:1, აილენდერსი — ნიუ ჯერსი 0:2, სენტ ლუისი — კოლორადო 2:0, ფინიქსი — სან ხოსე 8:0

**31 დეკემბერი**

მინესოტა — ანაჰაიმი 4:3, კოლუმბუსი — ჩიკაგო 3:1, კაროლინა — ფილადელფია 2:5, დეტროიტი — ლოს ანჯელესი 6:2, დალასი — სან ხოსე 2:4, კალგარი — ედმონტონი 4:2

**1 იანვარი**

ვაშინგტონი — ფინიქსი 2:3, ოტავა — ატლანტა 2:3 *(ოვერტაიმში)*, ტორონტო — ბოსტონი 5:1, ნეშვილი — კოლორადო 3:5, ბუფალო — აილენდერსი 3:1

**2 იანვარი**

მონრეალი — ტამპა 5:2, დეტროიტი — ანაჰაიმი 2:1, პიტსბურგი — კაროლინა 3:0, სენტ ლუისი — ჩიკაგო 1:4, კალგარი — ვანკუვერი 2:3, აილენდერსი — ფილადელფია 2:3, ნიუ ჯერსი — რეინჯერსი 2:3 *(ბულიტებით)*, მინესოტა — ატლანტა 5:1, ედმონტონი — ფლორიდა 4:1

**3 იანვარი**

ოტავა — ბუფალო 6:3, ლოს ანჯელესი — კოლუმბუსი 3:0, ვანკუვერი — დალასი 2:1 *(ბულიტებით)*

**4 იანვარი**

ბოსტონი — ტორონტო 2:10, რეინჯერსი — ფილადელფია 3:2, ნიუ ჯერსი — აილენდერსი 4:3, მინესოტა — ტამპა 2:3, კალგარი — ფლორიდა 5:4 *(ოვერტაიმში)*, ვაშინგტონი — მონრეალი 5:1, კაროლინა — ფინიქსი 0:2, სენტ ლუისი — ჩიკაგო 2:0, ედმონტონი — დალასი 5:6 *(ბულიტებით)*, სან ხოსე — დეტროიტი 9:4

**5 იანვარი**

ატლანტა — ფინიქსი 4:5 *(ოვერტაიმში)*, ჩიკაგო — ნეშვილი 3:8, ვანკუვერი — ედმონტონი 3:2 *(ოვერტაიმში)*, ბუფალო — პიტსბურგი 2:4, კოლორადო — ტამპა 4:2, ანაჰაიმი — კოლუმბუსი 3:4

**6 იანვარი**

ბოსტონი — ფილადელფია 4:3, მონრეალი — რეინჯერსი 3:4, ვაშინგტონი — ატლანტა 3:2 *(ოვერტაიმში)*, ნეშვილი — სენტ ლუისი 3:2, კალგარი — დალასი 4:2, ოტავა — ნიუ ჯერსი 2:3, ტორონტო — ბუფალო 3:4, კაროლინა — აილენდერსი 4:2, მინესოტა — კოლორადო 1:2 *(ოვერტაიმში)*, სან ხოსე — კოლუმბუსი 5:2, ლოს ანჯელესი — დეტროიტი 4:2

**7 იანვარი**

ჩიკაგო — ფინიქსი 2:4, მონრეალი — ნიუ ჯერსი 0:3, ანაჰაიმი — დეტროიტი 4:2, ოტავა — ფილადელფია 6:1, პიტსბურგი — ტამპა 2:3 *(ბულიტებით)*, ვანკუვერი — ფლორიდა 4:3 *(ბულიტებით)*

# წელი იგინლამ გააცილა

**დანარჩენი** მსოფლიო ახალი წლის მოსვლას რომ ხარობდა და აღნიშნავდა, ნჰლ-ში საზეიმოდ არავის სცხელოდა — ჩრდილოეთ ამერიკის არენებზე ბატალიები ერთი დღითაც არ შეწყვეტილა და ჰოკეისტებიც ჩვეული თავგანწირვით იბრძოდნენ მორიგი ქულებისთვის. თუმცა ამჯერად ცალკეული სათამაშო დღეების მიმოხილვას არანაირი აზრი არა აქვს, რადგანაც დროის ამ პერიოდში არც რაიმე მნიშვნელოვანი მომხდარა და არც სერიოზული სატურნირო გადაადგილებები დაფიქსირებულა. სწორედ ამის გამო უკვე ჩავლილ წელიწადს დავუბრუნდებით და მისი უკანასკნელი თვის საუკეთესო მოთამაშეებზე ვისაუბრებთ.

დეკემბრის საუკეთესო მოთამაშედ „კალგარის“ კაპიტანი და უპირობო ლიდერი ჯერომ იგინლა დასახელდა, რომელმაც ეს თვე 26 ქულითა (10+16) და სარგებლიანობის +9 მაჩვენებლით ჩაამთავრა. შავტუხა კანადელმა 14 ჩატარებული მატჩიდან უქულოდ მხოლოდ ორჯერ დატოვა ყინული. მეორე ვარსკვლავობა „დეტროიტის“ უბერებელ კარის დარაჯ დომინიკ ჰაშეკს ერგო.

„დომინატორი“ საშუალოდ მხოლოდ 1,59 შაიბას უშვებდა და კარში დარტყმულის 94 პროცენტს იგერიებდა. ჰაშეკმა 7 შეხვედრაში მხოლოდ ერთი შაიბა გაატანინა ოპონენტებს და ორი შათაუტიც გაახერხა.

მესამე ვარსკვლავი „პიტსბურგის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი სიდნი კროსბი გახდა, რომელმაც იგინლას მსგავსად 26 ქულა მოიხვეჭა 7+19). ამ პერიოდში სიდნიმ თავისი ჯერჯერობით ხანმოკლე კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, როცა „ფილადელფიასთან“ ერთბაშად ექვს ქულას მოუყარა თავი და ბომბარდირთა სიას ჩაუდგა სათავეში.

**კახა ლომჯაშვილი**

| აღმოსავლეთ კონფერენცია | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 42 | 25 | 13 | 4 | 113:110 | 54 |
| რეინჯერსი | 43 | 22 | 17 | 4 | 129:131 | 48 |
| პიტსბურგი | 40 | 18 | 15 | 7 | 125:128 | 43 |
| აილენდერსი | 41 | 19 | 19 | 3 | 117:116 | 41 |
| ფილადელფია | 42 | 11 | 27 | 4 | 102:159 | 26 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბუფალო | 42 | 30 | 9 | 3 | 164:122 | 63 |
| მონრეალი | 42 | 23 | 14 | 5 | 127:118 | 51 |
| ოტავა | 44 | 23 | 19 | 2 | 143:125 | 48 |
| ტორონტო | 43 | 19 | 18 | 6 | 144:144 | 44 |
| ბოსტონი | 39 | 20 | 16 | 3 | 118:142 | 43 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ატლანტა | 44 | 24 | 12 | 8 | 137:134 | 56 |
| კაროლინა | 44 | 22 | 18 | 4 | 130:133 | 48 |
| ვაშინგტონი | 42 | 18 | 17 | 7 | 128:143 | 43 |
| ტამპა | 43 | 20 | 21 | 2 | 135:136 | 42 |
| ფლორიდა | 44 | 15 | 20 | 9 | 119:143 | 39 |

| დასავლეთ კონფერენცია | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრალური** | | | | | | |
| ნეშვილი | 36 | 24 | 9 | 3 | 121:93 | 51 |
| დეტროიტი | 35 | 21 | 9 | 5 | 99:77 | 47 |
| ჩიკაგო | 35 | 15 | 15 | 5 | 90:100 | 35 |
| კოლუმბუსი | 35 | 13 | 19 | 3 | 87:103 | 29 |
| სენტ ლუისი | 35 | 10 | 19 | 6 | 83:117 | 26 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 35 | 18 | 15 | 2 | 114:99 | 38 |
| ედმონტონი | 35 | 18 | 15 | 2 | 98:95 | 38 |
| მინესოტა | 35 | 18 | 15 | 2 | 98:95 | 38 |
| კალგარი | 33 | 17 | 13 | 3 | 95:82 | 37 |
| ვანკუვერი | 36 | 17 | 18 | 1 | 80:95 | 35 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ანაჰაიმი | 38 | 27 | 5 | 6 | 134:89 | 60 |
| სან ხოსე | 36 | 25 | 11 | 0 | 107:77 | 50 |
| დალასი | 36 | 23 | 13 | 0 | 96:80 | 46 |
| ლოს ანჯელესი | 37 | 12 | 20 | 5 | 100:133 | 29 |
| ფინიქსი | 34 | 13 | 20 | 1 | 85:124 | 27 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

# ივან ყატარელი

**დოჰა. ყატარი. ჰარდი**
**საპრიზო 1 000 000 $**

**კაცები**

**ფინალი**

**ივან ლიუბიჩიჩი** (2, ხორვატია) — ენდი მიურეი (4, ბრიტანეთი) 6:4 6:4

მაჟორულ ნოტაზე დაიწყო სეზონი მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა ივან ლიუბიჩიჩმა. ხორვატს ჩავარდნისა არაფერი არ ეტყობა — ამ კაცის წინა ორი წლის წარმატებებს ბევრი რატომღაც შემთხვევითად თვლის, მაგრამ ბალკანელმა ყველა კრიტიკოსი აქედანვე გააჩუმა და დაამტკიცა, რომ წლეულსაც ლიდერებს შორის იტრიალებს.

დოჰაში ლიუბიჩიჩმა მხოლოდ მესამე ცდიდან იხეირა. არადა, ყატარში აქამდე ორჯერ იყო ფინალში, მაგრამ მოგებას ვერ ახერხებდა. ამჯერად კი ხორვატს გაუმართლა, რადგანაც ენდი მიურეიმ იმდენი უნებლიე შეცდომა დაუშვა, მთლიანად ტურნირზე რომ არ მიუქარავს. თუმც ახალგაზრდა შოტლანდიელმა დოჰაში დიდებული თამაში აჩვენა და წესით, კარს მომდგარ ავსტრალიის ღია პირველობაზე ბევრი უნდა გაამწაროს.

**ჩენაი. ინდოეთი. ჰარდი**
**საპრიზო 416 000 $**

**კაცები**

**ფინალი**

**ქსავიე მალისი** (3, ბელგია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:1 6:3

ქსავიე მალისმა კარიერაში მეორე ტიტული მოიგო, რაც ფინალში მოულოდნელად გასული შტეფან კუბეკის დამარცხებით მოახერხა. ისე, გადამწყვეტ მატჩში არც ბელგიელს ელოდა ვინმე, მაგრამ მალისმა ლამის კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა ნახევარფინალში რაფაელ ნადალთან და ესპანელი ვარსკვლაბიჭუნა ფინალს მიღმა დატოვა.

**ადელაიდა. ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 436 000 $**

**კაცები**

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (1, სერბეთი) — კრის გუჩიონე ავსტრალია) 6:3 6:7 6:4

კიდევ უფრო მოულოდნელი ამბები ადელაიდაში დატრიალდა, სადაც მთავარ აღმოჩენად ადგილობრივთა გასახარად 19 წლის ავსტრალიელი კრის გუჩიონე იქცა — ოზმა მიყოლებით გამოთიშა არნო კლემანი და რიშარ გასკე, მაგრამ ტურნირის პირველ ნომერ ნოვაკ ჯოკოვიჩს ველარ გაუმკლავდა. ახალგაზრდა სერბმა კი მესამე კარიერული ტიტული გაინაღდა.

**გოლდ კოსტი. ავსტრალია**
**ჰარდი საპრიზო 175 000 $**

**ქალები**

**ფინალი**

**დინარა საფინა** (2, რუსეთი) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:3 3:6 7:5

სამაგიეროდ, ყველაფერი მოლოდინისამებრ განვითარდა გოლდ კოსტში — ფინალში პირველ-მეორე ნომრებად განთესილი ჩოგნისქმნეველები დაეტაკნენ და მაყურებელი ძალიან საინტერესო და დაძაბული თამაშითაც ასიამოვნეს.

მარტინა ჰინგისი ამ სეზონს მართლაც მშვენიერ ფორმაში ხვდება და წლეულს იქნებ ძველებურ სიმაღლეებსაც წაეპოტინოს. დინარა საფინასთან წაგება კი შვეიცარიელმა, თავის თავს უნდა დააბრალოს — ჩოგბურთელებმა სეტები გაცვალეს და საქმე გადამწყვეტ პარტიამდე მიიყვანეს, სადაც გადამწყვეტ მომენტში მარტინამ როგორღაც ორმაგი შეცდომა „გაახერხა“ და 20 წლის რუსს გამარჯვება აჩუქა.



ივან ლიუბიჩიჩმა ყატარული სამართალი მესამე ცდაზე გაჭრა

AFP ფოტოები

**ოკლენდი. ახალი ზელანდია.**
**ჰარდი საპრიზო 145 000 $**

**ქალები**

**ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი** (1, სერბეთი) — ვერა ზვონარიოვა (5, რუსეთი) 7:6 5:7 6:3

გვიან კი მოვიდა თამაშის იშტაზე ელენა იანკოვიჩი, მაგრამ შეხვედრის შემობრუნება მაინც მოასწრო და ვერა ზვოანრიოვას დამარცხებით სეზონი წამრტებით დაიწყო. სერბი დიდხანს ვერაფერს უხერხებდა მეტოქეს, მაგრამ წაგების საშიშროების წინაშე დადგა თუ არა, მაშინვე ჩვეულად ათამაშდა და ოკლენდური თასიც დამსახურებულად ზეაღმართა.

**CHAMPIONS CHALLENGE**
**ჰონკონგი. ჩინეთი. ჰარდი**

**ქალები**

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — მარია შარაპოვა რუსეთი) 6:3 7:6

ჰონკონგის ტურნირი ოფიციალური არ იყო და აქ გამოსვლით ჩოგბურთელები ვერც სარეიტინგო ქულებს მოიხვეჭდნენ. ამდაგვარ შეჯიბრებს საჩვენებელს ეძახიან, მაგრამ აქ ისეთი შემადგენლობა შეიკრიბა, ნებისმიერ ოფიციალურ ტურნირს რომ დამშვენებდა. თუნდაც ფინალი რად ღირს — ერთიანეთის აშშ-ის ღია პირველობის ბოლო ორი ტრიუმფატორი დაეჯახა.

კიმ კლაისტერსმა პროფესიულ ჩოგბურთში თავისი ბოლო წელიწადი მშვენივრად დაიწყო და სეზონის პირველი სლემტურნირს კარგ ხასიათზე შეხვდება. ფინალში კი ფუმფულა ბელგიელმა მარია შარაპოვა მყარი ნერვებისა და ოდნავ უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე დასცა.

**ჰოფმანის თასი**

**ფინალი**

**რუსეთი 2:0 ესპანეთი**

**ნადია პეტროვა** — ანაბელ მედინა გარიგესი 6:0 6:4

**დმიტრი ტურსუნოვი** — ტომი რობრედო 6:4 7:5

რუსებს ჰოფმანის თასზე ამაზე გაცილებით ვარსკლავური შემადგენლობაც ჩაუყვანიათ, მაგრამ წარმატებული ნადია პეტროვასა და დმიტრი ტურსუნოვის დუეტი აღმოჩნდა. ისე, ტურნირი მათაც წაგებით დაიწყეს და პირველი შეხვედრა წააგეს კიდეც, მაგრამ იქიდან მოყოლებული, მათი მძლეველი არავინ გამოჩნდა, არც ფინალში — პეტროვამ და ტურსუნოვმა საქმე წყვილთა შეხვედრამდე აღარ მიიყვანეს და, შესაბამისად, ანაბელ მედინა გარიგესისა და ტომი რობრედოს განადგურებით რუსეთს პირველად მოაგებინეს ეს საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი, შერეულ წყვილთა არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატად რომ იწოდება.

**კახა ლომჯაშვილი**



რუსებმა ჰოფმანის თასი პირველად მოიგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელოვანნი მინდვრებზე

ამერიკის საბურთაო და საბეისბოლო მინდვრებზე საახალწლო კვირაში სახელოვანთა სიმრავლე შეიმჩნეოდა. მაიამიში, ორანჯბოულის დიდ ფინალზე, სადაც ლუისვილელები ვეიკფორესტელ სტუდენტებს ებრძოდნენ, საქომაგოდ დაბადებით ლუისვილელი მუჰამედ ალი და ვეიკფორესტელი მსოფლიოს ლეგენდა, მეგოლფე არნოლდ პალმერი მივიდნენ, მათ კი მხარი მაიამელმა კალათბურთელმა დუეინ ვეიდმა დაუმშვენა. პასადენაში კი როუზბოულის ფინალს თავისი შვილებით, კეიტითა და ჯეფით ეწვია „ვარსკვლავეთის ომების" მამა ჯორჯ ლუკასი, რომელსაც თავისი გმირი, დარტ ვეიდერიც ახლდა. აი, ფოქსბოროში კი, პლეი ოფის ვაილდქარდის თამაშზე, „ნიუინგლანდ პეტრიოტზის" პატრონი რობ კრაფტი დონალდ (შუაში) და მელანია ტრამპებს მასპინძლობდა.



AFP ფოტო




AFP ფოტო




AFP ფოტო

# გვიანის შკიპერები

დასრულდა გვიანის სანიჩბოსნო ტრანსატლანტიკური რეგატა და ფრანგული გვიანის ნავსადგურ კაიენში მამაცი შკიპერები იწონებენ თავს. გამარჯვებული რომენ ვერჟე (მარცხნიდან მეორე) გამოვიდა.



AFP ფოტო



AFP ფოტო

ჩაფიქრებულა კრივის დიდი მოკვარახჭინე, მარად ამერიკის დროშებით მავალი დონ კინგი. სულ მალე მის მიერ მოწყობილი ბრძოლა შედგება: სემუელ პიტერი და ჯეიმს ტონი WBC-ის ქამრისთვის იჩხუბებენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფორაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge